# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 12 სექტემბერი 2006 №210 (2832) ფასი 50 თეთრი


## ფორტისიმო სკუადრა აძურაში
### რობერტოტი და დონატონი

რობერტო დონადონი არ ცხრება — უკვე გადაწყვეტილია, რომ უკრაინასთან და საქართველოსთან ევროშესარჩევი მატჩებისთვის „რომას“ ლიდერ ფრანჩესკო ტოტის ნაკრებში უხმობს. დონადონი „სკუადრა აძურას“ თავკაცად დანიშვნისთანავე ლამის ტელეფონს ეცა და ტოტის სთხოვა, ნაკრებში დაბრუნებაზე დამთანხმდიო. იტალიელთა ათიანი კი ფეხს ითრევდა, ფორმაში არ ვარ და წლეულს ჩემი იმედი ნუ გექნებათო...

იხილეთ მეორე გვერდი






## რეკონსტრუქციული მიდგომა
### ფინეთში მოგება თქვენზე, ფული და სასახლე ჩვენზე

დღეს, გამთენიისას, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ფინეთში გაფრინდა. ხვალ ჰელსინკში ევროსაკვალიფიკაციო ეტაპის უმნიშვნელოვანესი მატჩია და ფინეთში გამგზავრებამდე ნაკრებს ქალაქის მერი გიგი უგულავა, კულტურისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური ესტუმრნენ, რომლებმაც კალათბურთელებს გამარჯვების შემთხვევაში 40 ათასი ლარი პრემიალური აღუთქვეს, მაგრამ მთავარი დაპირება სულ სხვა იყო — მალე სპორტის სასახლის რეკონსტრუქცია დაიწყება, დარბაზი საერთაშორისო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და გაისად, შემოდგომაზე გასამართ მეორე წრის მატჩებს ჩვენი კალათბურთელები უკვე განახლებულ სასახლეში ითამაშებენ.



## რომელი ერთი?
### ჩემპიონთა ლიგის მთავარი ნიშანი: ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

პაპანაქება მინელდა. ზაფხული, რომლის განმავლობაშიც ჰაერისა და სანაკრებო ფეხბურთის ტემპერატურამ უკიდურეს მაქსიმუმს უწია, დასრულდა და დღეს ევროპელი გულშემატკივარი ჩემპიონთა ლიგას უბრუნდება. შეძლებს „ბარსელონა“ შარშანდელი ტრიუმფის გამეორებას და გახდება „მილანის“ (1989, 1990) შემდეგ პირველი, ვინც ჩემპიონთა თასს არავის გაატანს? გაუწევს მას ღირსეულ კონკურენციას ფულში ჩაფლული „ჩელსი“? რას იზამს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ან 2005 წლის ტრიუმფატორი „ლივერპული“? ინგლისელთაგან იქნებ ბოლო გათამაშების ფინალისტმა „არსენალმა“ ივარგოს? თუმცა, რატომ ჩამოვთვალეთ მარტო ინგლისელები — „რეალი“ ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობითა და გაძლიერებული შემადგენლობით უთუოდ იბრძოლებს თასის მეათედ მოსაგებად. ნუ დაგვავიწყდება მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყანა „მილანითა“ და „ინტერით“. ამ ზაფხულს მეტად გაძლიერებულ „შავ-ლურჯებს“ ხომ ჩემპიონთა თასი 1965 წლის მერე არ ალუმართავთ და, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ, მოდი, ზედმეტი ნუ მოგვივა, დღეს მშვიდად დავიწყოთ, გამარჯვებულს კი გაისად, 23 მაისს ათენში ვნახავთ.

# დონადონის მკაცრი ტონი
## მინდა ტოტი და ტონი



**იტალიის** ნაკრებში შექმნილ ბუნდოვან სიტუაციას მსოფლიოს ჩემპიონთა უხეირო სტარტი დაემატა — 1:1 ლიტვასთან და 1:3 საფრანგეთთან, რამაც უფრო გაამძაფრა ტოტის საკითხი.

„საოქტომბრო მატჩებისთვის ტოტის აუცილებლად გამოვიძახებ. მას არასოდეს უთქვამს ჩემთვის, რომ წლეულს ნაკრებში თამაშს ვერ შეძლებს. ვიცი, რომ ფრანჩესკო სასურველ ფორმაში არაა, თუმცა მას მაინც შეუძლია ძალიან დიდი სარგებლის მოტანა ჩვენთვის" — განაცხადა დონადონიმ.

ამასობაში, ტოტიმ სერია A-ს პირველ ტურში ითამაშა და „რომას" მწვრთნელი ლუჩანო სპალეტიც კმაყოფილი დატოვა: „ვფიქრობ, ტოტიმ კარგად ითამაშა და დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ მოუმატებს".

მოკლედ, ასეა: იტალიელთა მწვრთნელი ლიდერს ეძახის, მედია კი ლუკა ტონიზე გადაერთო და დონადონი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარ-გამოატარა, აქაოდა, ევროშესარჩევის პირველ ორ ტურში ტონის არგამოძახება როგორ შეიძლებოდაო. ჟურნალისტებმა დონადონის ისიც წამოაძახეს, თქვენმა დაწუნებულმა ტონიმ სერია A-ს პირველ ტურში ორი გოლი გაუტანაო, რაზეც ასეთი პასუხი მიიღეს: „ფეხბურთელს, რომელსაც სანაკრებო მატჩამდე კლუბში 90 წუთიც არ ჰქონდა ნათამაშები, არ გამოვიძახებდი. ახლა კი სხვა საქმეა..."

**ბაჩა შალამბერიძე**



გერმანული „ფრაიბურგისა" და საქართველოს ნაკრების მცველი ოთარ ხიზანეიშვილი გამოჯანმრთელდა და მალე თამაშსაც განაახლებს. ოთარს მუხლი აწუხებდა, რის გამოც წინა სეზონში ოთხი თვე გაუცდა. ზაფხულის მოსამზადებელი პერიოდის ბოლოს კი ტრავმა გაუმიზეზდა და ზედ მეორე ბუნდესლიგის დაწყებამდე ისევ სამკურნალო შეიქნა. ამ ორ ამბავს შორის ხიზანეიშვილმა ახალ ზელანდიასთან ერთი სანაკრებო მატჩის ჩატარებაც მოასწრო... მოკლედ, ფრაიბურგელი ქართველისთვის ახალი სეზონი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა როგორც თავად გვითხრა, მოედანს უახლოეს დღეებში უნდა დაუბრუნდეს...

# ოთარ ხიზანეიშვილი საფრანგეთს ელოდა
## ეს საქართველო სხვა საქართველოა

— უკვე ყველაფერი კარგადაა. ვარჯიში 2 სექტემბერს, საქართველო — საფრანგეთის მატჩის დღეს დავიწყე და ვფიქრობ, ნელ-ნელა სასურველ ფორმას ვუახლოვდები. კვირას „ფრაიბურგის" სათასო შეხვედრის განაცხადშიც ვიყავი, მაგრამ მწვრთნელმა აღარ მათამაშა. შესაძლოა, მეორე ბუნდესლიგის უახლოეს ტურშივე დავუბრუნდე ძირითად შემადგენლობას, ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი მაიმედებს და თავადაც მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ.

— რა მოხდა, ტრავმა რატომ გაგიმიზეზდა?

— არ ვიცი, ეგებ ვარჯიშის დაწყება ვიჩქარე და მუხლმა დატვირთვებს ველარ გაუძლო. არადა, სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდისას ტრავმას არ შევუწუხებივარ, ჩვეულებრივ ვემზადებოდი. პირველ მატჩამდე ორი დღით ადრე კი ნაოპერაციები მუხლი ამტკივდა და თავიდან მომიწია მკურნალობის დაწყებამ.

— ექიმები რას გეუბნებიან, შესაძლოა, ცოტა ხანში ძველი განმეორდეს?

— არა მგონია. ტრავმის გამიზეზება ექიმებს არ გაკვირვებიათ, ასეთი შემთხვევები ხშირიაო. ეს ორი თვეც ძირითადად აღდგენითი ვარჯიშები მქონდა, ტრენაჟორები, აუზი... ახლა კი აღარაფერი მაწუხებს და, როგორც გითხარით, მთელი დატვირთვით ვემზადები. იმედი მაქვს, უახლოეს ტურში ვითამაშებ კიდეც. ერთი-ორი მატჩის შემდეგ ალბათ სასურველ ფორმაშიც ვიქნები. ჯერჯერობით ყველაფერი ისეა, როგორც მწვრთნელები და ექიმები ვარაუდობდნენ, ხოლო დანარჩენი ჩემზეა დამოკიდებული.

— უშენოდ კი მეორე ბუნდესლიგაში „ფრაიბურგის" სტარტს მთლად შთამბეჭდავი არ უნდა ეთქმოდეს...

— ასე თუ გაგრძელდა, ბუნდესლიგაში დაბრუნება წარმოუდგენელი იქნება. ჯერ ვერავის აუხსნია, რატომ თამაშობს გუნდი ასე სუსტად. მწვრთნელი ფიქრობს, რომ „ფრაიბურგი" თანდათან მოუმატებს და ბუნდესლიგაში დაბრუნებისთვის ბრძოლა რეალურად შეეძლება. არადა, წლეულს შარშანდელზე ძლიერი გუნდი გვყავს, მაგრამ ისეთი შედეგი არ გვაქვს, როგორსაც ჩვენგან სეზონის დაწყებამდე ელოდნენ.

— საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩები ნახე?

— ვნახე და საშინლად გულდაწყვეტილი ვარ. ფრანგებთან წაგებას კაცი თავის ახსნას კიდევ მოუძებნის, აი, უკრაინასთან კი ნაღდი მოსაგები მატჩი დავთმეთ. ორივე თამაში ვნახე. ერთი სული მაქვს, ნაკრებში როდის დავბრუნდები. ჩვენი გუნდი ახლა გაცილებით კარგ, მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობს და ნელ-ნელა კიდევ უფრო მოვუმატებთ. უკრაინასთან წაგებაზე კი მხოლოდ ერთს ვიტყვი — იღბალი. მასპინძლებს ჩვენზე უფრო გაუმართლათ.

— უახლოესი სანაკრებო მატჩებისთვის მზად იქნები?

— თუ კიდევ რამე არ მოხდა, სასურველი სათამაშო ფორმა მალე უნდა აღვიდგინო. იქამდე ალბათ ერთი-ორი მატჩის ჩატარებასაც მოვასწრებ და ნაკრებში თუ გამომიძახებენ, შეკრებაზე მომზადებული ჩამოვალ.

**ბობა ინასარიძე**

# ცხრამეტწლამდელთა გზა: აზერბაიჯანი — რუმინეთი

**19 და 21 სექტემბერს** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები აზერბაიჯანთან სტუმრად ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს და ასე, სამეზობლოში მომზადებული შეხვდება ევროშესარჩევ ეტაპს.

შეგახსენებთ, 19-წლამდელებს კლაუს ტოპმიოლერის ძმა ჰაინცი ხელმძღვანელობს, მის შეგირდებს ევროპის ჩემპიონატისკენ მიმავალ გზაზე მეოთხე ჯგუფში ჩრდილოირლანდიელებთან, რუმინელებთან და ბელგიელებთან მოუწევთ გაჯიბრება. შესარჩევ მატჩებს საქართველო 4, 6 და 9 ოქტომბერს რუმინეთში ითამაშებს.

ჰაინც ტოპმიოლერს სააზერბაიჯანოდ ფეხბურთელები უკვე შეგულებული ჰყავს, მაგრამ საბოლოო და ზუსტ შემადგენლობას მოგვიანებით გამოაცხადებს.

# ხაჭაპურმა ბრაზილიაც მოხიბლა



**შუა** ევროპაში და სამხრეთ ამერიკაში არა, მაგრამ უკრაინაში ხომ ქართული სამზარეულო ცნობილია. ჩანს, კიევის „დინამოს" ბრაზილიელი ფეხბურთელებიც დადიან ქართულ რესტორნებში, თორემ კიეველთა ფორვარდ კლებერს საიდან ეცოდინებოდა... ხაჭაპური?

— უკრაინული სამზარეულოდან რა მოწონთ? — ეკითხება ჟურნალისტი კლებერს.

— ხაჭაპური. ეს ხომ უკრაინული სამზარეულოდანაა?

ჩანს, უკრაინელმა ჟურნალისტმა ხაჭაპურის „უკრაინულობა" შეიფერა, რადგან ინტერვიუ სწორედ აქ მთავრდება.

### ინგლისი
პრემიერლიგა. IV ტური
რედინგი 1:0 მანჩესტერ სიტი

### იტალია
სერია B. I ტური
სპეცია 1:1 ჩეზენა

### საფრანგეთი
II დივიზიონი. VII ტური
სტრასბური 2:0 შატორუ

### პორტუგალია
სუპერლიგა. II ტური
ლეირია 2:2 ბეირა მარი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. VI ტური
ბრნო 2:1 ბანიკი

### ნორვეგია
ტიპელიგა
XIX ტური
სტაბეკი 1:2 ბრანი

### შვედეთი
ალსვენსკა. XVII ტური
იურგორდენი 0:2 გაის
იორგრიტე 1:2 ჰალმსტადი
იოსტერსი 1:2 გეფლე
სუპერეტა. XXIV ტური
ატვიდაბერგი 2:4 ბროშაპოიკარნა
ლანდსკრონა 0:0 ვასბი
სუნდსვალი 1:1 ასირისკა

### ისლანდია
პრემიერდივიზიონი
XV ტური
ვალიური 2:1 ბრინდავიკი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. V ტური
დებრეცენი 4:0 ვაცი

# არსად წავსულვარ
## კახეთის ნაბოლარობა დონის პროპორციულია



*თელავის „კახეთი" არც წინა სეზონში წყვეტდა ვარსკვლავებს, ერთი ჩვეულებრივი გუნდი იყო — კახურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, არც გასავარდნად ჰქონია საქმე და არც მაღალ ადგილებს შეპოტინებია. ახლა კი **ჯემალ მახარაშვილის** გუნდს ხუთიდან ხუთი წაგება აქვს, 17 გოლი გაუშვა და პირველ ლიგაში ჩაქვეითების მთავარი კანდიდატია. იყო ლაპარაკი, „კახეთს" მწვრთნელი შეეცვლებაო, თუმცა მახარაშვილი ისევ კლუბშია და გვითხრა, წასვლა არც დამიპირებიაო...*

— სუსტი შემადგენლობა გვყავს და ლოგიკურადაც ვართ ცხრილის ბოლოში. შედეგი ისეთია, რაც ჩვენი ფეხბურთელების კლასს და ფინანსურ მდგომარეობას შეეფერება.

— ამას დაუმატეთ ტრავმები, რის გამოც მუდმივად მიწევს შემადგენლობის ცვლა. „ბათუმთან" თამაშშიც გამოჩნდა, რომ „კახეთი" უმაღლესი ლიგისთვის მოუმწიფებელია.

— ხელფასი სტაბილურად გვაქვს, მაგრამ ცოტა. კლუბში განხეთქილება და რაიმე სკანდალი არაა. გასაგები მიზეზების გამო ვართ ბოლო ადგილზე, მაგრამ ვეცდებით, ქულების მოგროვება მალე დავიწყოთ.

**ილია ნანობაშვილი**

# ომარ თეთრაძე: წაველი და არც გემშვიდობებით



## კობიამ შალკეში ტრავმა ჩაიტანა

**როსტოკის** „ჰანზას" მოყვარულებთან გუშინწინდელ სათასო 9:1 მოგებაში გელზენკირხენის „შალკეს" ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობიაშვილი ვერ დაეხმარა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი საფრანგეთ-უკრაინასთან სანაკრებო მატჩების შემდეგ ტრავმირებული დაუბრუნდა კლუბს.

გერმანელი ექიმების განცხადებით, კობიაშვილის ტრავმა საშიში არაა და დიდი შანსია, ლევანმა ბუნდესლიგის მომავალ ტურში ითამაშოს.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი, რუსეთის მოქალაქე ომარ თეთრაძე ფეხბურთელი კარიერას ასრულებს. ეს ჩვენებურმა გუშინ „სპორტ-ექსპრესს" გაუმხილა და ნაღვლიანად თქვა, ჩანს, თეთრაძე-ფეხბურთელი უკვე აღარავის სჭირდებაო...

აქვე მოკლედ თეთრაძის კარიერაზეც: ომარი 1969 წლის 13 ოქტომბერს დმანისში დაიბადა. თამაშობდა თბილისის „დინამოში" (1987-89), ოზურგეთის „მერცხალში" (1990), მოსკოვის „დინამოში" (1991-94), ვლადიკავკაზის „ალანიაში" (1995-96, 2002), იტალიურ „რომაში" (1997-99), ბერძნულ პაოკ-ში (1999-2001), მახაჩყალის „ანჟიში" (2003) და სამარის „კრილია სოვეტოვში" (2004-დან). იყო ესენგესა და რუსეთის ნაკრების წევრი.

თეთრაძემ მოთამაშის კარიერის დასრულება „კრილია" — „მოსკვას" (0:4) მატჩის შემდეგ გადაწყვიტა და აი, რატომ...




ომარ თეთრაძე (მარჯვნივ) რუსულ პრემიერლიგაში გიორგი ქინქლაძესაც შეხვედრია

**— უცნაურია, მაგრამ სეზონი სადაცაა, დამთავრდება და თქვენ ახლაღა შეგიყვანეს საჩემპიონატო განაცხადში...**

— ამ კითხვაზე პასუხს გაჯი გაჯიევი უფრო გაგცემთ. თუმცა გაგიმხელთ: მწვრთნელს ჩემი განაცხადში შეყვანა ჩემპიონატის დაწყებამდეც სურდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ სხვაგვარად განსაჯა, მათ შემადგენლობის გაახალგაზრდავება უნდოდათ და მეც კონტრაქტი აღარ გამიფორმეს.

**— გრძნობდით, რომ თამაში კიდევ შეგეძლოთ?**

— რა თქმა უნდა. ძალიან მინდოდა თამაშის გაგრძელება. მთელი მოსამზადებელი ეტაპი გუნდთან ერთად გავიარე, მაგრამ რაღ გინდა... კონტრაქტს არავინ მიფორმებდა და მეც ვარჯიშს შევეშვი. მხოლოდ გუნდის გაწვრთნაში ვმონაწილეობდი. ეს იყო და ეს. ახლა კი გაჯიევმა ერთხელაც ისურვა ჩემი განაცხადში შეყვანა, მაგრამ უკვე გვიანია. თამაშის სურვილი სადღაც გამიქრა.

**— ახლა რას აპირებთ?**

— სეზონის ჩამთავრებას დაველოდები. რაღა დარჩა...

**— ეს ბოლო სეზონი იქნება მცველ თეთრაძისთვის?**

— დიახ და არც გამოსამშვიდობებელი მატჩი არ ჩატარდება.

**— ფეხბურთელის სტატუსის დაბრუნებასთან ერთად ხელფასი მაინც თუ მოგიმატეს?**

— არა. კლუბთან ძველი, სამწვრთნელო კონტრაქტი მაქვს. ხელფასიც იგივეა. ფეხბურთელის კონტრაქტი ჩემთვის არავის შემოუთავაზებია...

# შოთამ ათვლა დაიწყო

## კრივბასისთვის ძვირად ფასობს ვასო




**ჰოლანდიურ** ერედივიზიონში ორი ტური იყო ჩავლილი და შოთა არველაძეს გოლი არ გაეტანა. სხვისთვის არა, მაგრამ არველაძისთვის ბევრია ორტურიანი უქმობა და ნავსიც გატყდა — შოთამ „ნაიმეგენთან" სტუმრად 31-ე წუთზე გახსნა ანგარიში, მისმა გუნდმა კი 2:0 (მეორე გოლი არველაძის პასით გავიდა) მოიგო და ქულადაუკარგავად მიქრის.

იმავ ერედივიზიონში კი კვლავ არ უთამაშია გოგა გახოკიძეს, რომელსაც ტრავმის გამო ასეთი მნიშვნელოვანი სანაკრებო მატჩებიც გაუცდა.

უკრაინაში ერთი ქართული გოლი გავიდა და... ისევ ვასილ გიგიაძე! „კრივბასმა" ჯაბა კანკავასა და ლაშა ჯაკობიას (პირველს დისკვალიფიკაცია ჰქონდა, მეორეს კი ტრავმა) გარეშე მოთამაშე „არსენალს" კიევში 1:1 რომ გამოსტყუა, ვასოს დამსახურებაა — ჩვენიანმა 45-ე წუთზე გაათანაბრა.

ოდესის „ჩერნომორეცში" გიორგი შაშიაშვილმა შეცვლაზე, ილია კანდელაკმა და კახა მჟავანაძემ კი სრულად ითამაშეს ხარკოვში „მეტალისტთან". ნეტავ, არ ეთამაშათ — ოდესელებმა 0:4 წააგეს.

გიორგი დემეტრაძემ 50 წუთი იბურთავა კიევის „დინამოსთან" (1:1) და ერთხელ შეეძლო გატანა, კიეველ როდოლფოსთან წაკამათების გამო კი ყვითელი ბარათი მიიღო.

როგორც ჩანს, „დნიპროს" შემადგენლობაში ადგილი დაკარგა კახა ალადაშვილმა, ვინაც „სტალთან" 0:0 დამთავრებულ მატჩში არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, 90 წუთი მინდორზე გაატარა „სტალის" გიორგი ციმაკურიძემ.

0:0 იყო პოლტავაშიც, სადაც „ვორსკლას" დავით კვირკველიასა და ირაკლი მოდებაძის ზაპოროჟიეს „მეტალურგი" სტუმრობდა. კვირკველიამ სრულად, მოდებაძემ კი ბოლო 27 წუთი ითამაშა.

რუსეთში ჩვენიანებს არ გაუტანიათ, მაგრამ სამარის „კრილიამ" შინ რომ 0:4 წააგო „მოსკვასთან", ჟურნალისტები წერენ, წაგებულთაგან მხოლოდ დავით მუჯირი თამაშობდა, დანარჩენები კი გონზე არ იყვნენო...

ოცწუთიანი დებიუტი ჰქონდა ნალჩიკის „სპარტაკში" ლევან გვაზავას, გოგიტა გოგუამ კი 90 წუთი იბურთავა. ყაბარდოელები წაგებებს შეეჩვივნენ და ამჯერად მოსკოვის „ლოკომოტივთან" 0:1 დამარცხდნენ. მოგებულთაგან მალხაზ ასათიანმა შეუცვლელად ითამაშა.

პრემიერლიგას ემშვიდობება ზურაბ მენთეშაშვილისა და ალეკო ამისულაშვილის „შინიკი". მათ ამჯერადაც წააგეს, ქართველები კი მინდორზე იყვნენ და... ღირებული ვერაფერი.

გერმანიაში პირველ-მეორე ბუნდესლიგა ისვენებდა, მაგრამ კლუბები არა — სათასო უიქენდი იყო. დავით სირაძის აუე-მ რეგიონალლიგელ „ვესტფალიას" 2:1 მოუგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა, 24 წლის ქართველმა კი 53-ე წუთზე თავურით გახსნა ანგარიში და მატჩიც ბოლომდე ჩაათამაშა.

ჩანს, ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა ოთარ ხიზანეიშვილი, ალექსანდრე იაშვილმა კი 90 წუთი იბურთავა რეგიონალლიგელ „დელბრიკერთან" — „ფრაიბურგმა" 4:2 მოიგო. „იაშკას" არ გაუტანია.

ლევან კობიაშვილმა „ხუმარების" დადგმულ კონცერტში ვერ მიიღო მონაწილეობა, რადგან მცირე ტრავმა აწუხებს — „შალკემ" „ჰანზას" მოყვარულები 9:1 გაანადგურა.

ქართველებიდან სათასო რბოლას მხოლოდ მათე ღვინიანიძე გამოეთიშ — „მიუნხენ 1860"-მა „ლიუბეკთან" 0:1 დათმო. მათე ჩვეულებრისამებრ, შეუცვლელი იყო.

სერია A კახა კალაძის გარეშე დაიწყო, ინგლისურ პრემიერლიგაში კი უცნაური მატჩი გადახდა ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნს": „შეფილდთან" შეხვედრაში მსაჯმა ორჯერ „ხიზანას" გუნდის, ერთხელ კი შეფილდელთა კარში დანიშნა პენალტი, მაგრამ... თამაში 0:0 დამთავრდა. ზურამ 90 წუთი ითამაშა და გაფრთხილება მიიღო.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 5 ტური

# ლიდერი
## ცხრილს ლამაზი თამადა ჰყავს

**შენ გული დაუდე და, საქართველოს ჩემპიონატშიც ნახავ ისეთ თამაშებს, ცოტა ხანს მაინც რომ გაგყვება სასიამოვნოდ. ამაზე ქვემოთ, მეხუთე ტურის ზოგადი შეფასება კი ასეთია: ზედა ექვსეულში მყოფმა გუნდებმა უკლებლივ მოიგეს, არავითარი სენსაცია... გამოიკვეთა ორი აუტსაიდერიც, რომელთა გავარდნაზე, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, დღესვე თამამად ლაპარაკობენ**

ამერი 2:0 ბორჯომი
ტორპედო 2:0 დილა
სიონი 0:1 დინამო
ლოკომოტივი 0:3 ვიტ ჯორჯია
კახეთი 1:3 ბათუმი
ზესტაფონი 2:0 ჩიხურა
მერანი 0:1 ოლიმპი

„ამერი“ — გუნდი, რომელზეც ენა არავის მოუბრუნდება იმის სათქმელად, შემთხვევით ლიდერობს ჩემპიონატსო. გლდანელებმა ლამაზ სტილში დაჩაგრეს „არგენტინული“ „ბორჯომი“.

თუ გავიხსენებთ, „ამერსა“ და „ლამაზ სტილს“ წინა სეზონში ერთად ძალიან იშვიათად თუ ვახსენებდით, მაშინ გუნდი აშკარად შენება-ძიების პროცესში იყო და უმეტესად თამაშიც ვერ იყო სანახაობრივი, დღეს კი... იმპროვიზაცია?·უყურეთ გიორგი ჩიხრაძის ბიჭებს და არცთუ იშვიათად იხილავთ ისეთ მონაკვეთებს, რომელთა ყურება სიამოვნებას განიჭებს.

„ამერი“ საქართველოში ფიზიკურად ერთ-ერთი ყველაზე მხნე გუნდია და შარშანდელი მეშვიდე ადგილი, სულო ცოდვილო, ალბათ სწორედ ფანტაზიის არქონის ბრალი იყო. ახლა კი უნდა გენახათ, როგორ თამაშობდა, ვთქვათ, დავით ბოლქვაძე...

ეს ყველაფერი კარგია და კიდევ უფრო კარგი ისაა, რომ ლამაზ თამაშს შედეგი არ ეწირება — „ყვითლები“ ქულადაუკარგავად მიიწევენ წინ.

და რა შთაბეჭდილება დატოვეს „ბორჯომის“ არგენტინელებმა? გასაკვირი იყო, რომ მგზავრობით დაქანცული შვიდივე არგენტინელი ვლადიმერ ხაჩიძემ ძირითადში დააყენა და იქნებ ამის ბრალიცაა, არცთუ შთამბეჭდავად რომ გაისარჯნენ. ერთი თვალის შევლებით, ჩვეულებრივი, ჩვენი ჩემპიონატის დონის ბიჭები არიან.

და კიდევ: მაინცდამაინც სუფთა თამაშით ვერ გამოირჩნენ სტუმრები, ფეხებს დაუნდობლად იქნევდნენ, მსაჯი პაატა დოგრაშვილი კი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა...

10:0 — ასეთია რუსთავის „ოლიმპის“ ბურთების შეფარდება და ერთი ფრე რომ არ გამორეოდა, „ამერის“ გვერდით იქნებოდა კენწეროში. ოლიმპელებმა ამჯერად დებიუტანტ თბილისის „მერანს“ მინიმალური სხვაობით მოუგეს და ბოლო წუთზე აშკარად გადაურჩნენ გოლის გაშვებას. მთავარია, რომ გადაურჩნენ და ახლა რუსთაველთა მეკარე მიხეილ ალავიძის მშრალი სერია 450 წუთს ითვლის.

„ოლიმპზე“ იოლად მოიგო ასევე 13-ქულიანმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“, რომელსაც თანაქალაქელი „ლოკომოტივი“ 3:0 შემოემარცხა. ჯორჯიელებს კიდევ ბევრჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ სამი იკმარეს და აქედან ორი ნიკა გელაშვილისა იყო. აშკარად სხვა პოლუსებია: ვიტელები საჩემპიონოდ იბრძოლებენ, რკინიგზელები კი ცხრილის ქვედა ნაწილში ფრთხილად უნდა იყვნენ.

თემურ მახარაძის „ზესტაფონში“ მესამედ მისვლა წარმატებული გამოდგა და არც გაგვკვირვებია. ფეროელებმა უმაღლეს ლიგას ჯერაც შეუჩვეველი „ჩიხურა“ 2:0 დაჯაბნეს და საამისოდ მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ დასდგომიათ. მახარაძის დაბრუნებას კი ზესტაფონელი ქომაგები კმაყოფილებით შეხვდნენ, ახლა სხვა გუნდი გვეყოლებაო.

ნება გვიბოძეთ, ვთქვათ, რომ ბოლნისის „სიონი“ ამ სეზონში ჩემპიონი ველარ გახდება.

კახა ცხადაძის დისკვალიფიკაციას რომ თავი დავანებოთ, ბოლნისელებს, უბრალოდ, თავდამსხმელი არ ჰყავთ. აი, „თამაზ სტეფანიაზე“ [illegible] ჩასულ თბილისის „დინამოს“ [illegible] ფორვარდი ჰყავდა და თანაც ისეთი, ბევრ ქართულ კლუბს რომ [illegible] ალს დაუყენებს — სანდრო იაშვილს წინა სეზონში ცუდად ახსოვდა ბოლნისში თამაში (გაათ[illegible]), ამჯერად კი სწორედ მისმა [illegible] რმა მოაგებინა სტუმრებს.

თავში „უკვე გავარდნილებზე“ ვთქვით, ასეთებად კი [illegible] და თელავის „კახეთი“ [illegible] ლებმა სეზონის ჯერჯერობით მთავარ მოულოდნელ[illegible] თაისის „ტორპედოსთან“ წააგეს უშანსოდ, თელაველებს [illegible] მეტი რა ჰქონდათ. [illegible] ები „ბათუმს“ უგებდნენ, თუმცა [illegible] ვისპირელებმა ჯერ გაათანაბრ[illegible] ტჩის ბოლოს [illegible] დარჩენის მიუხედავად, ორი [illegible] პო გოლიც მიართ[illegible]

ილია ნანობაშვილი



სულიკო დავითაშვილის სუპერგოლი

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 4-ფეიქრიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 3-დვალი | დინამო |
| გოჩაშვილი | ლოკომოტივი |
| სახოკია | ვიტ ჯორჯია |
| გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| საჯაია | ბორჯომი |
| გაგუა | მერანი |
| იაშვილი | დინამო |
| დვალიშვილი | ოლიმპი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 5 | 5 | 0 | 0 | 11:1 | 15 |
| ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:0 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 |
| ტორპედო | 5 | 3 | 2 | 0 | 5:1 | 11 |
| ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| დინამო | 5 | 3 | 0 | 2 | 10:4 | 9 |
| სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| მერანი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:10 | 6 |
| ბათუმი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| ბორჯომი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ჩიხურა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| დილა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | 1 |
| კახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:17 | 0 |

### სიმბოლური ნაკრები

ნიკა გელაშვილი — ვიტ ჯორჯია
სულიკო დავითაშვილი — ამერი
ამირან მუჯირი — ბათუმი
გიორგი ფეიქრიშვილი — ვიტ ჯორჯია
თორნიკე აფციაური — ოლიმპი
გიორგი მერებაშვილი — დინამო
დავით ბოლქვაძე — ამერი
თენგიზ უგრეხელიძე — ტორპედო
შოთა კაშია — დინამო
ედიკ საჯაია — ზესტაფონი
მიხეილ ალავიძე — ოლიმპი

### მომდევნო ტური

17 სექტემბერი, კვირა
ბორჯომი – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – მერანი
ჩიხურა – ლოკომოტივი
ბათუმი – ზესტაფონი
დინამო – კახეთი
დილა – სიონი
ამერი – ტორპედო

როცა ფეხბურთელი ცუდად თამაშობს, მწვრთნელი მას სკამზე სვამს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ რა ხდება, როცა არბიტრი სჯის ცუდად თამაშს? როგორც წესი, არც არაფერი.

ცუდი მსაჯობის თემა „ამერი“ — „ბორჯომის“ მატჩმა გაგვახსენა, რომელსაც პაატა დოგრაშვილი სჯიდა და რომლის მოგებაც მასპინძლებს ლამის ფეხების მოტეხვად დაუჯდათ.

ამ მატჩში ვნახეთ ყველაფერი, რასაც კვალიფიციური მსაჯობისას ვერ ვნახავდით. არბიტრი კონტრშეტევის მაისურაზე ორი ხელით ჩაფრენის ფასად შეჩერებას საყვითელბარათო ჯარიმად არ მიიჩნევს; მეკარესთან პირისპირ გასული ფეხბურთელის წაქცევას უბრალო ჯარიმად თვლის და არა ბოლო იმედისად; უკნიდან ჩაწიხვლაც არ არის განსაკუთრებული სიმძიმის, კოჭებში რტყმა კი საერთოდ არ არის დანაშაული.

ისიც ვთქვათ, რომ ამგვარი მაგალითების მოშველიება სხვა მატჩებიდან და სხვა მსაჯების შესრულებითაც შეიძლება.

საქმე ისეა, გეგონება, მსაჯებისთვის მიცემული რჩევა, ხისტად თამაშის უფლება მიეცით ფეხბურთელებსო, არბიტრებმა მეტისმეტად პირდაპირ გაიგეს ან უფროსობის გულის მოსაგებად ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტი უხეშობის უფლებას მისცემს ფეხბურთელს.

თავში ვთქვით, ცუდად მოთამაშე ფეხბურთელს მწვრთნელი სკამზე რომ სვამს. არ დასვამს და, ორი ვარიანტია: ან თავად მწვრთნელის კვალიფიკაცია არის საეჭვო, ან უკეთ მოთამაშე ფეხბურთელი არ ჰყავს.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ მსაჯებზეც. თუკი მსაჯი ცუდად მუშაობს და მას „სკამზე მაინც არ სვამენ“, მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების თანამშრომელთა კვალიფიკაციაში უნდა შევიტანოთ ეჭვი, ან მათ უნდა თქვან, რომ უკეთესი მსაჯები, უბრალოდ, არ ჰყავთ და უნდა აგვიხსნან, რატომ არ ჰყავთ.

შევიდეთ ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე, მერე ნახსენები განყოფილების გვერდზე. იქ პედანტური სიზუსტით არის ჩამოთვლილი, როდის რომელი მსაჯების მუშაობით დარჩნენ უკმაყოფილონი დამკვირვებლები და რა სასჯელი დაეკისრათ ცუდად მომუშავე მსაჯებს. ირკვევა, რომ თებერვლის აქეთ ორ მსაჯს ცუდად უმსაჯია თასის თამაშებზე, ერთს უმაღლეს ლიგაში და ერთიც რეგიონული ლიგის მატჩზე უბრალოდ არ გამოცხადებულა.

გავიმეოროთ: სამად-სამი ცუდად ნამსაჯი თამაში. დანარჩენი რამდენიმე ასეული მატჩი კი, როგორც ჩანს, მსაჯთა თვალსაჩინო შეცდომების გარეშე ჩამთავრებულა.

ამის დაჯერება გვიჭირს, რადგან დამკვირვებელთა მიერ მსაჯებისთვის ჩამოწერილ კარგ ნიშნებზე მეტად საკუთარ თვალებს ვუჯერებთ. ფიქრი კი არ გვასვენებს: დამკვირვებლებსაც დამკვირვებლები უნდა მივუჩინოთ?




# ევროპაში ეს ახალი რამეა. ფულის ტომრები ფეხბურთელებსაც ტომრებით ყიდულობენ

**სუპერაგენტმა** პინი ზაჰავიმ გამოაცხადა, რომ სულ მალე ახალ ფონდს ჩაუყრის საფუძველს. ეს ფონდი, რომლის ინვესტორებიც ლონდონის სიტიდან იქნებიან, წილებს შეისყიდის მსოფლიოს მოწინავე ფეხბურთელებში და მათი ტრანსფერის შემთხვევაში წილის შესაბამის მოგებასაც მიიღებს.

„ფონდი ჯერ მთლად ჩამოყალიბებული არ არის. მისი საბოლოო შემცველობა 100 მილიონი გირვანქა იქნება — თქვა ზაჰავიმ — „მე ამ საკითხში უფრო ფეხბურთელთა მაძიებელი ვარ, ვიდრე ფულისა. ფონდის შემქმნელები აბსოლუტურად კანონიერად მოქმედებენ. უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გვიჭირავს თვალი. ევროპაში ეს ახალი რამეა, სამხრეთ ამერიკაში კი ფეხბურთელთა 80 პროცენტს ნაწილობრივ კლუბები, ნაწილობრივ კი ინვესტორები ფლობენ.“

ზაჰავი ის კაცია, ვინც აბრამოვიჩს „ჩელსი“ და 12 ფეხბურთელი აყიდინა, სვენ გორან ერიკსონთან მეგობრობს და რიო ფერდინანდის უძვირესი ტრანსფერები მოაკვარახჭინა.

**ირაკლი გამყრელიძე**


პინი ზაჰავი: საერთაშორისო ფეხბურთის „რუხი კარდინალი“


დევიდ დინი

# რა გახდა ერთი პატარა პურ-მარილი?!

## ეშლი კოულმა საკუთარი თავის დასაცავად «საკუთარი თავის დასაცავად» დაწერა

**ეშლი კოული** „არსენალიდან“ „ჩელსიში“ გადავიდა და გუდას პირი მოხსნა:

„მე მიღალატა და მიწაზე დამანარცხა კლუბმა, რომელსაც გული და სული ვაჩუქე. „არსენალისადმი“ ჩემი სიყვარული წყენამ და ამრეზამ გადაფარა“ — წერს 25 წლის მცველი, რომლის 20-თვიანი სატრანსფერო საგა 31 აგვისტოს ლონდონის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლით დასრულდა. წიგნში, რომელსაც კოულმა „საკუთარი თავის დასაცავად“ დაარქვა და რომელსაც ნაწილ-ნაწილ „თაიმზი“ ბეჭდავს, მეთოფეთა ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინია გვარიანად გაკრიტიკებული. თურმე ფეხბურთელსა და დინს რამდენჯერმე გვარიანი კამათი მოსვლიათ და ერთხელ, როდესაც კოული „ბოლტონის“ წინააღმდეგ შემადგენლობაში არ შეიყვანეს, საქმე გინებამდეც კი მისულა.

„მისტერ დინს ხელს იმ შემთხვევაში ჩამოვართმევ, თუ ისიც გამომიწვდის თავისას, მაგრამ ის დღეები, როდესაც ჩვენ მეგობრულად ვსაუბრობდით, სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ და მითხრან, მას ან ერთი სიტყვა უნდა ვუთხრა ან ათი, მე პირველ ვარიანტს ავირჩევ“ — წერს კოული.

ინგლისის ნაკრების მცველი ფრიად გაულიზიანებია იმას, რომ კლუბმა „ბარსელონაში“ მიმავალი ტიერი ანრის შესანარჩუნებლად ერთი ამბავი წამოიყო, მისადმი სიმპათია კი საერთოდ არ გამოხატა.

„ტიერის აგრძნობინეს, რომ ის მათთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, ყველა ღონე იხმარეს მის შესანარჩუნებლად, დღენიადაგ საჯაროდ აცხადებდნენ, რომ მის გარეშე დარჩენა არ სურთ. და მე? ერთ სადილზეც კი არ დავუპატიჟებივართ, ერთი შეხვედრაც კი არ მომიწყვეს, ერთხელაც კი არ დამირეკეს“.

კოულისა და „არსენალის“ ომი 2004 წელს დაიწყო. ომის მიზეზი ხელფასი გახლდათ. დინმა კოულს ახალი ხელშეკრულება და კვირაში 35 ათასი გირვანქა შესთავაზა, ფეხბურთელმა კი კარგად იცოდა, რომ მის თანაგუნდელებს 100 ათასის ფარგლებში ჰქონდათ ყოველკვირეული შემოსავალი და, ბუნებრივია, ასეთი წინადადება იწყინა. დეკემბერში დინი და კოულის აგენტი ჯონათან ბარნეტი 60 ათასზე შეთანხმდნენ, მაგრამ ერთ თვეში „არსენალმა“ 5 ათასი ჩამოაკლო.

„როდესაც ჯონათანმა გაიმეორა, რომ ხელფასი 55 ათასამდე შემიმცირეს, კინაღამ ქუჩაში გინება ავტეხე. ტელეფონი გავთიშე. სიბრაზისგან რა მექნა, არ ვიცოდი“ — წერს კოული, რომელიც აი, ამის შემდეგ შეხვდა „ჩელსის“ მწვრთნელს ჟოზე მაურინიუს ლონდონის „როიალ პარკ ოტელში“ სრულიად საიდუმლოდ. თუ გახსოვთ, ამ შეხვედრისთვის პრემიერლიგის ტრიბუნალმა ფეხბურთელს 75-ათასიანი ჯარიმა დააკისრა.

და წინა სეზონი როგორ დამთავრდა იცით?

„იმ საღამოს ღამის კლუბ „ემბასიში“ მივედი, მაგრამ წინა წლებისგან განსხვავებით არავინ შემომიერთდა, ერთი არსენალელიც არ მინახავს. სამაგიეროდ, სეზონის ბოლო ქეიფში ჯონ ტერისთან, ჯო კოულთან, კარლტონ კოულთან, დემიენ დაფთან და სხვა ჩელსელ ბიჭებთან აღმოვჩნდი“ — ასეთია ციტატა წიგნიდან „საკუთარი თავის დასაცავად“.

**ბაჩუნა ძიდია**

# პრემიერლიგაში პენალტები ილევა

**ამ უქმეებზე** პრემიერლიგაში დარტყმული ექვსი პენალტიდან ოთხი გაფუჭდა.

აქედან სამი „ბრამოლ ლეინზე“, შეფილდში, სადაც იქაური „იუნაიტედი“ უგოლოდ გაშორდა „ბლექბერნს“. სტუმართა მეკარე ბრედ ფრიდელმა ჯერ დევიდ ანსუორთს აუღო, მერე რობ ჰალსს, ხოლო მასპინძელთა პედი კენიმ — ლუკას ნილს.

ეს ყველაფერი თამაშის ბოლო ოც წუთში მოხდა.

ტურის მეოთხე პენალტი ფრენკ ლამპარდს აუღო „ჩარლტონის“ მეკარემ სკოტ კარსონმა. „ჩელსის“ ახალწვეულმა მიხაელ ბალაკმა კი თქვა: „ეგებ შემდეგი პენალტი მე დავარტყა. რახან ფრენკმა გააფუჭა, ეგებ ასე უფრო კარგი იყოს.“

**ირაკლი გამყრელიძე**


ოთხიდან ერთი ვერგამტანი ბლექბერნელი ლუკას ნილიც იყო

# გალასმა დაიკიდა



**უილიამ გალასმა** „ჩელსის“ შემოუთვალა, რომ მათ შეუძლიათ ის ილაპარაკონ მის შესახებ, რაც უნდათ, მას ეს არ აინტერესებს.

„ჩელსიდან“ სკანდალით წასული ფეხბურთელი, ვისაც ლამის ყველაფერში დასდეს ბრალი, ამბობს: „წარსული წარსულია. მათ ნათქვამს ვერ გადავყვები. ახლა იმაზე ვფიქრობ, რაც შეიძლება კარგად შევეწყო „არსენალს“. აქ ყველა კარგად მექცევა, ყველა იღიმის და ამიტომ შეგუება მიადვილდება. თავად გუნდი კი ახალ სტადიონს ეჩვევა და საგანგაშო არაფერია.“




# კეთილი იყოს თქვენი ფეხი სერია B-ში

## დადექით შხაპქვეშ და დაკრიჭეთ კბილები

**ალექს დელ პიერომ** „იუვენტუსის" გულშემატკივარს მოთმინებისკენ მოუწოდა. დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება, თუ რა ხდება: შავ-თეთრებმა შაბათს ისტორიული მატჩი გამართეს, პირველად ითამაშეს სერია B-ში და ადრიატიკის ზღვისპირა, რაღაცით ქობულეთის მსგავს ქალაქ რიმინიში მათი შეხვედრა 1:1 დასრულდა. თან, ;„რიმინი" ბოლოს მოედანზე ათი კაცით იყო დარჩენილი.

„შაბათს ძალიან უცნაურ დღეში ჩავვარდით — უთხრა „იუვეს" კაპიტანმა „სკაი იტალიას" — ჩვენ შევეჯახეთ ჩვეულისგან ძალიან განსხვავებულ გარემოს, მაგრამ ამით გამოწვეული გაურკვეველი გრძნობა მალევე გაქრა, რადგან მეტოქემ ამოსუნთქვა არ გვაცალა, ისე გაგვირთულა ცხოვრება. ჩვენს ქომაგებს ვთხოვ, დაწყნარდნენ, რადგან რაც შეიძლება მალე ვიხმართ ყველა ღონეს საიმისოდ, რათა ამ სეზონის ბოლოს სერია A-ს საგზური გვედოს ჯიბეში, მაგრამ უპირველეს ყოვლისა სიმშვიდე გვჭირდება. ზედმეტმა სიჩქარემ შეიძლება ცუდი შედეგი გამოიღოს. ჩვენ აუცილებლად უნდა შევეგუოთ ახალ ვითარებას და გარემოს, ხოლო გამარჯვებების გზაზე რომ დავბრუნდებით, ფაქტია".

დელ პიერო ერთ-ერთი იმ ვარსკვლავთაგანია, რომელიც სერია B-ში გაგდების მიუხედავად „იუვენტუსიდან" არსად წავიდა, მაგრამ თავისი ასეთი პოზიციის მიუხედავად, არ ჰკიცხავს მათ, ვინც წავიდნენ.

„მესმის იმ ფეხბურთელების, რომლებიც დიდი ფეხბურთის ეშხით ჩვენგან წავიდნენ, მაგრამ ამასთან უნდა ვთქვა, რომ ისინი, ვინც დარჩნენ, პატივისცემის ღირსნი არიან. თუ გახსოვთ, მაურო კამორანეზი ფრიად ყოყმანობდა, მაგრამ ამაში დასაძრახი არაფერია. ის ხომ წლების წინ თამაშობდა სერია B-ში და იქ დაბრუნების სურვილი უბრალოდ არ ჰქონდა".

კალჩოპოლის ამბებზე კი დელ პიერომ ასე თქვა:

„იმაზე, რაც მაინცდამაინც არ ვიცი, ვერაფერს მოგახსენებთ. ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ „იუვენტუსი" ამ სკანდალში გახვეულ სხვა გუნდებზე გაცილებით მეტად დაისაჯა".

„იუვენტუსში" დარჩა კიდევ ერთი ვარსკვლავი, მსოფლიოს ჩემპიონი და არა მარტო ჩემპიონი, არამედ ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული გმირთაგანი ჯანლუიჯი ბუფონი. მან რიმინის ფრეზე ასე თქვა:

„ჩვენ თამაშისადმი არასწორი დამოკიდებულება გვქონდა. ეს არ იყო სწორი პოზიცია და ასეთი პოზიციის შემთხვევაში „იუვენტუსი" გაისად სერია A-ში ვერ ითამაშებს. დღეს „იუვენტუსს" უდიდესი გუნდის პოტენციალი აქვს, მაგრამ კონცენტრაცია საერთოდ არ დამინახავს".

შემდეგ ბუფონმა განაცხადა, რომ პირადად თავისი თამაშით უკმაყოფილო არ არის, რადგან რიმინელებს რამდენიმე ძნელად მოსაგერიებელი დარტმა აული, თუმცა ისიც დასძინა, რომ მისი საქმე სწორედ ეს არის და „იუვენტუსში" იმიტომ დარჩა, რომ გუნდს სერია A-ში დაუყოვნებლივ დაბრუნებაში შეუწყოს ხელი.

„სერია A საკუთარი თავის გამოცდაა — განაცხადა მეკარემ — თუ წარმატება გვინდა, საჭიროა დაუყოვნებლივ დავივიწყოთ ის დიდება და წარმატებები, რაც ადრე გვქონია და ცხოვრების შემოთავაზებულ რეალურ სიტუაციას მოვერგოთ. არავინ არაფერს გაჩუქებს. საჩვენებული თამაშების და პრანჭვის ასპარეზი არც სერია B გახლავთ".

რიმინის ამბებზე თავისი აზრი გამოთქვა „იუვენტუსის" მწვრთნელმა დიდიე დეშანმაც.

„დღეს ჩვენ აღმოვაჩინეთ, თუ რა გველის ამ სეზონში — თქვა ფრანგმა „სტადიო ნერის" საპრესკონფერენციო ოთახში — წინასწარვე ვგრძნობდით, რომ გაზრდილი პრობლემები გველოდა და აკლიმატიზაციის პერიოდი დაგვჭირდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პერიოდი როგორც გაირკვა, ჯერ არ გაგვივლია".

რიმინიში ფრემ, რასაკვირველია, ფრიად იმოქმედა „ბებერი ქალბატონის" მფლობელ ანიელების ოჯახზეც.

„ეს ფეხბურთელები უნდა გამოფხიზლდნენ — გალიზიანებით თქვა ჯოვანი ანიელის შვილიშვილმა, კონცერნ „ფიატის" ერთ-ერთმა მფლობელმა ლაპო ელკანმა — ისინი ვალდებულნი არიან, საქმეში მეტი მონდომება ჩადონ. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ სერია B-ში არავინ გაასეირნებთ. მათ უნდა მოეგოთ, მაგრამ ვერ მოიგეს. ახლა კეთილი ინებონ, ცივი შხაპის ქვეშ დადგნენ, სიმწრისგან კბილები დაკრიჭონ და ასე იარონ ბოლომდე, რადგან ძალიან ძნელ ლიგაში მოხვდნენ. მათ უნდა დაიმახსოვრონ, რომ ყოველი თამაში მოსაგებია".

„ვფიქრობ, ეს თამაში გაკვეთილად გამოდგება — ეს კი „იუვეს" პრეზიდენტის ჯოვანი კობოლი ჯილის სიტყვებია — მგონი, უკვე ნათელი გახდა, რომ სერია B-ში ბრძოლა დიდი იქნება, ხოლო წაგება შეურაცხმყოფელი".

**ბაჩუნა ძედია**

# მერე რა, რომ 2:0-ს იგებ...

## ფაბიო კაპელო: სიმშვიდის ფობია

მადრიდის „რეალმა" ამ სეზონში ქომაგები პირველად გაახარა. „სამეფო კლუბს" და მის ძველ-ახალ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს არასანახაობრივი ფეხბურთის თამაშში ადანაშაულებდნენ, მაგრამ კვირას დონ ფაბიოს შეგირდებმა „ლევანტე" სტუმრად 4:1 გაანადგურეს. გუნდის ახალწვეულმა რუუდ ვან ნისტელროიმ კი ჰეთ თრიქი შეასრულა. ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა კაპელოს რამდენიმე კითხვა დაუსვეს



**— როგორ შეაფასებთ მატჩს?**

— კარგად ვთამაშობდით, სანამ ორი ბურთით დავწინაურდებოდით. ფეხბურთელებმა უნდა გაიგონ, რომ როდესაც 2:0 მიგყავს, ყველაფერი დამთავრებული არ არის. მათ საქმე მომთავრებულად ჩათვალეს და მეტოქეს ბევრი მომენტის შექმნის საშუალება მისცეს, ეს დაუშვებელია. „ლევანტემ" ერთი ბურთი გაქვითა კიდეც, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. მთავარია, რომ მოვიგეთ.

**— ხოსე ანტონიო რეიესის დებიუტზე რას იტყვით?**

— ის ჯერ 90 წუთის სათამაშოდ მზად არ არის, რადგან აქამდე 20 დღე უქმობდა. „ლევანტესთან" რამდენჯერმე ბრწყინვალედ გაისარჯა, მაგრამ ბევრად მეტი შეუძლია.

**— კრიტიკის ქარცეცხლის მერე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო...**

— რა თქმა უნდა, მოგება ყოველთვის მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, სეზონის დასაწყისში, როცა გუნდი ჯერ კარგად შეთამაშებული არ არის და შესაძლოა, ქულები უაზროდ დაკარგოს. მთავარია, მთელი მატჩის ყურადღებით და ორგანიზებულად ჩატარებას მივეჩვიოთ. ასევე აუცილებლია უფრო სწრაფად ავთამაშდეთ.

**— პირველი ტაიმის მერე რაული და ანტონიო კასანო შეცვალეთ...**

— მათ ეროვნულ ნაკრებში ორი მატჩის გამართვა მოუხდათ და გადაღლილები არიან. [illegible] დიდ სათამაშო დროს ვერ [illegible]მდი. რაულს და კასანოს ცოტა დასვენება სჭირდებათ.

**— მეტოქეზე და მსაჯზე რას გვეტყვით?**

— მსაჯებზე არასდროს ვლაპარაკობ. „ლევანტეს" კი, როგორც ყველა კლუბს, გარკვეული დრო სჭირდება სეზონის დასაწყისში შესათამაშებლად. თანაც ვალენსიელებს ბევრი ახალი ფეხბურთელი ჰყავთ, რომლებიც ერთმანეთს კარგად არც იცნობენ.

# არაპროარაგონესი



**ესპანეთის** ნაკრებს მალე ეგებ ახალი მწვრთნელი ჰყავდეს. ლუის არაგონესმა გადადგომა ითხოვა, რაზეც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან უარყოფითი პასუხი მიიღო. თუმც, თუ გამოცდილი ტაქტიკოსი წასვლას მტკიცედ გადაწყვეტს, მას წინ ველარ აღუდგებიან.

მოგეხსენებათ, პირინეელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე დამაჯერებლად ვერ ითამაშეს და მუნდიალს მომავალ ფინალისტ საფრანგეთთან მარცხით მერვედფინალში დაემშვიდობნენ. არაგონესს კი ნათქვამი ჰქონდა, თუ მეოთხედფინალში მაინც ვერ გავალთ, წავალო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ახლა ამ ყველაფერს ჩრდილოეთ ირლანდიასთან სენსაციური წაგება (2:3) დაერთო და ქომაგებმაც დაუფარავად გამოთქვეს უკმაყოფილება.

„ლუისმა გვითხრა, რომ გადადგომას აპირებდა, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტმა მას სრული ნდობა გამოუცხადა, რის მერეც არაგონესმა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად რამდენიმე დღე ითხოვა. ჯერ კიდევ სამი თვის წინ ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ნაკრებისთვის იგი იდეალური მწვრთნელი იყო. ამას საფრანგეთთან და ახლა ჩრდილოეთ ირლანდიასთან მარცხი მოჰყვა, რაც სასიამოვნო ნამდვილად არ არის, მაგრამ ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. ჩვენ ლუისს მხარს ვუჭერთ და გვინდა, რომ დარჩეს. თუმცა, თუ წასვლას მაინც გადაწყვეტს, მოგვიწევს შემცვლელზე ფიქრი" — განაცხადა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ ხორხე კარეტერომ.

არაგონესმა ესპანეთის ნაკრები 2004 წელს ინაკი საესისგან ჩაიბარა და პირინეელებს საკმაოდ კარგ ფეხბურთსაც ათამაშებს, მაგრამ...

**გიორგი ძაძამაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი

## A ჯგუფი

**ბარსელონა** ესპანეთი
**ჩელსი** ლონდონი, ინგლისი
**ვერდერი** ბრემენი, გერმანია
**ლევსკი** სოფია, ბულგარეთი

I ტური. 12.09.06
ჩელსი – ვერდერი
ბარსელონა – ლევსკი
II ტური. 27.09.06
ლევსკი – ჩელსი
ვერდერი – ბარსელონა
III ტური. 18.10.06
ვერდერი – ლევსკი
ჩელსი – ბარსელონა

IV ტური. 31.10.06
ლევსკი – ვერდერი
ბარსელონა – ჩელსი
V ტური. 22.11.06
ვერდერი – ჩელსი
ლევსკი – ბარსელონა
VI ტური. 05.12.06
ჩელსი – ლევსკი
ბარსელონა – ვერდერი

## B ჯგუფი

**ინტერი** მილანი, იტალია
**ბაიერნი** მიუნხენი, გერმანია
**სპორტინგი** ლისაბონი, პორტუგალია
**სპარტაკი** მოსკოვი, რუსეთი

I ტური. 12.09,.06
სპორტინგი – ინტერი
ბაიერნი – სპარტაკი
II ტური. 27.09.06
სპარტაკი – სპორტინგი
ინტერი – ბაიერნი
III ტური. 18.10.06
ინტერი – სპარტაკი
სპორტინგი – ბაიერნი

IV ტური. 31.10.06
სპარტაკი – ინტერი
ბაიერნი – სპორტინგი
V ტური. 22.11.06
სპარტაკი – ბაიერნი
ინტერი – სპორტინგი
VI ტური. 05.12.06
სპორტინგი – სპარტაკი
ბაიერნი – ინტერი

## C ჯგუფი

**ლივერპული** ინგლისი
**პსვ** ეინდჰოვენი, ჰოლანდია
**ბორდო** საფრანგეთი
**გალათასარაი** სტამბოლი, თურქეთი

I ტური. 12.09.06
გალათასარაი – ბორდო
პსვ – ლივერპული
II ტური. 27.09.06
ლივერპული – გალათასარაი
ბორდო – პსვ
III ტური. 18.10.06
ბორდო – ლივერპული
გალათასარაი – პსვ

IV ტური. 31.10.06
ლივერპული – ბორდო
პსვ – გალათასარაი
V ტური. 22.11.06
ბორდო – გალათასარაი
ლივერპული – პსვ
VI ტური. 05.12.06
გალათასარაი – ლივერპული
პსვ – ბორდო

## D ჯგუფი

**ვალენსია** ესპანეთი
**რომა** რომი, იტალია
**ოლიმპიაკოსი** პირეოსი, საბერძნეთი
**შახტარი** დონეცკი, უკრაინა

I ტური. 12.09.06
ოლიმპიაკოსი – ვალენსია
რომა – შახტარი
II ტური. 27.09.06
შახტარი – ოლიმპიაკოსი
ვალენსია – რომა
III ტური. 18.10.06
ვალენსია – შახტარი
ოლიმპიაკოსი – რომა

IV ტური. 31.10.06
შახტარი – ვალენსია
რომა – ოლიმპიაკოსი
V ტური. 22.11.06
ვალენსია – ოლიმპიაკოსი
შახტარი – რომა
VI ტური. 05.12.06
ოლიმპიაკოსი – შახტარი
რომა – ვალენსია

## E ჯგუფი

**რეალი** მადრიდი, ესპანეთი
**ლიონი** საფრანგეთი
**სტიაუა** ბუქარესტი, რუმინეთი
**დინამო** კიევი, უკრაინა

I ტური. 13.09.06
დინამო – სტიაუა
ლიონი – რეალი
II ტური. 26.09.06
რეალი – დინამო
სტიაუა – ლიონი
III ტური. 17.10.06
სტიაუა – რეალი
დინამო – ლიონი

IV ტური. 01.11.06
რეალი – სტიაუა
ლიონი – დინამო
V ტური. 21.11.06
სტიაუა – დინამო
რეალი – ლიონი
VI ტური. 06.12.06
დინამო – რეალი
ლიონი – სტიაუა

## F ჯგუფი

**მანჩესტერი** ინგლისი
**სელტიკი** გლაზგო, შოტლანდია
**ბენფიკა** ლისაბონი, პორტუგალია
**კოპენჰაგენი** დანია

I ტური. 13.09.06
მანჩესტერი – სელტიკი
კოპენჰაგენი – ბენფიკა
II ტური. 26.09.06
ბენფიკა – მანჩესტერი
სელტიკი – კოპენჰაგენი
III ტური. 17.10.06
სელტიკი – ბენფიკა
მანჩესტერი – კოპენჰაგენი

IV ტური. 01.11.06
კოპენჰაგენი – მანჩესტერი
ბენფიკა – სელტიკი
V ტური. 21.11.06
ბენფიკა – კოპენჰაგენი
სელტიკი – მანჩესტერი
V1 ტური. 06.12.06
მანჩესტერი – ბენფიკა
კოპენჰაგენი – სელტიკი

## G ჯგუფი

**არსენალი** ლონდონი, ინგლისი
**პორტუ** პორტუგალია
**ცსკა** მოსკოვი, რუსეთი
**ჰამბურგი** გერმანია

I ტური. 13.09.06
პორტუ – ცსკა
ჰამბურგი – არსენალი
II ტური. 26.09.06
არსენალი – პორტუ
ცსკა – ჰამბურგი
III ტური. 17.10.06
ცსკა – არსენალი
პორტუ – ჰამბურგი

IV ტური. 01.11.06
არსენალი – ცსკა
ჰამბურგი – პორტუ
V ტური. 21.11.06
ცსკა – პორტუ
არსენალი – ჰამბურგი
VI ტური. 06.12.06
პორტუ – არსენალი
ჰამბურგი – ცსკა

## H ჯგუფი

**მილანი** იტალია
**ლილი** საფრანგეთი
**აეკ** ათენი, საბერძნეთი
**ანდერლეხტი** ბრიუსელი, ბელგია

I ტური. 13.09.06
ანდერლეხტი – ლილი
მილანი – აეკ
II ტური. 26.09.06
აეკ – ანდერლეხტი
ლილი – მილანი
III ტური. 17.10. 06
ლილი – აეკ
ანდერლეხტი – მილანი

IV ტური. 01.11.06
აეკ – ლილი
მილანი – ანდერლეხტი
V ტური. 21.11.06
ლილი – ანდერლეხტი
აეკ – მილანი
VI ტური. 06.12.06
ანდერლეხტი – აეკ
მილანი – ლილი

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

**ჩელსი — ვერდერი**

**ბარსელონა — ლევსკი**

## ბარსა: ზეობა ზედიზედობით

**ИСПАНИЯ**

**ესპანეთი**: „ბარსელონა“, გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის 17-წლიან ისტორიაში სურს გახდეს პირველი, ტიტულს ზედიზედ რომ მოიგებს. ისე, ლიგის დაარსებამდე, სანამ შეჯიბრებას უბრალოდ ჩემპიონთა თასის გათამაშება ერქვა, ეს ბოლოს 1989 და 1990 წლებში „მილანმა“ შეძლო.

რა მარაგით მივიდა „ბარსა“ ლიგის ახალ გათამაშებამდე? ერთობ შთამბეჭდავით — კატალონიელებს ევროსარბიელზე შინ 14 თამაშია, არ წაუგიათ, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში, შინ თუ სტუმრად, ბოლო 13 მატჩია, მარცხი რა არის, არ იციან.

**— ახლანდელ შეჯიბრებაზე როგორი იმედებით მიემგზავრებით?**

— სოჭში, სადაც 1989 წელსა და შემდგომ დაბადებული მძლეოსნები გამოვლენ, ჩვენი 25 სპორტსმენი ჩაებმება შეჯიბრებაში, გუნდის ხელმძღვანელობა კი ხუთკაციანია. თითო ქვეყანას ყოველ დისციპლინაში თითო სპორტსმენის გამოყვანა შეუძლია. ვფიქრობ, რომ რამდენიმე დისციპლინაში პირველობისთვის ვიბრძოლებთ და ურიგოდ არც საერთო გუნდურ პირველობაში გამოვალთ.

სხვათა შორის, სოჭში ჩაღწევა დიდი პრობლემაა, რაკი აფხაზეთის გავლით გზა გადაკეტილი გვაქვს, იქ გასასვლელად ყველაზე ხელსაყრელი ტრანსპორტი გემია. სამწუხაროდ, ბათუმიდან სოჭისკენ გემი კვირაში მხოლოდ ერთხელ დაცურავს და თბომავალ „სვეტლოვის“ კაპიტანმა ჩვენი თხოვნით რეისი კვირისთვის გადმოიტანა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

**— ამ შეჯიბრებას შავი ზღვის ქვეყნების მძლეოსანთა მარათონის სტარტიც მოჰყვება...**

— ამ მარათონში, რომელიც ტარდება დევიზით — „თანხმობა და თანამეგობრობა“, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვას, რუსეთისა და საქართველოს სამსამი მარათონელი გამოვა. მარათონში რატომღაც ყაზახეთის ერთი მძლეოსანი, ოლეგ სელეზნიოვიცაა მიწვეული, ჩვენგან კი შავ ზღვას ბათუმელი ქეთევან კუპატაძე, ფოთელი ჯეირან ხოფერია და დუშელი გიორგი შეკრელიძე შემოურბენენ.

აქვე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მათი ქალაქების ხელმძღვანელობას, რომლებმაც ამ მარათონში სპორტსმენთა მონაწილეობას ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი, ხვალ კი ჩვენს სამეულს სტამბოლისკენ საზეიმოდ გააცილებენ.

**— კი მაგრამ, ამ უსაშველოდ გრძელ გზას გაუძლებენ ჩვენი მორბენლები ან სხვები?**

— ყველა ქვეყნის მძლეოსნები დღეში ორჯერ რიგრიგობით 5-5 კილომეტრს ირბენენ, სხვები კი მიკროავტობუსებში დაისვენებენ. ისინი სტარტს სტამბოლში, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ხიდზე აიღებენ. მორბენლები თურქეთიდან ბულგარეთში გადავლენ. მერე იქნება რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა, რუსეთი, საქართველო, ისევ თურქეთი და კვლავ ბოსფორის ხიდი, სადაც მარათონი დასრულდება. აქედან მარათონელებს ყველაზე გრძელი გზის დაფარვა თურქეთსა და უკრაინაში მოუწევთ, სადაც შესაბამისად 1510 და 1268 კილომეტრს გაივლიან. ყველაზე ცოტა სარბენი კი მოლდავასა და რუმინეთში ექნებად, შესაბამისად 15 და 28 კილომეტრი, საქართველოში 92 კილომეტრიანი დისტანცია იქნება. ამასთან დაკავშირებით ფოთსა და ბათუმში დიდი ღონისძიებები იგეგმება.

გვინდოდა, რომ მარათონელებს აფხაზეთშიც ერბინათ, მაგრამ ეს არ მოხერხდება, რადგან მათ მონაწილეობა დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით მოინდომეს...

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ვაუ, მე დავფრინავ!

## ტაისონ გაის ფრთები გამოსდის




ტაისონ გაი

„ვაუ! მგონი, ეს სარბენი ბილიკები მსოფლიოში უსწრაფესია — ემოციებს ვერ მალავდა შტუტგარტში სირბილის შემდეგ ამერიკელი 200-მეტროსანი სპრინტერი ტაისონ გაი — ღმერთო ჩემო! ისე სწრაფად გავრბოდი, შემეშინდა, არ გავფრენილიყავი.“

ტაისონ გაი შტუტგარტში „მძლეოსნობის მსოფლიო ფინალის“ მეორე დღის გმირი გახლდათ. ფეხმარდმა ამერიკელმა პირველ დღესაც ყოჩაღად ირბინა, 100 მეტრი 9,92 წამში დაფარა, ახლა კი 200 მეტრს 19,68 ამყოფინა და ყველა დროის მესამე შედეგი დააფიქსირა. მასზე სწრაფად ეს დისტანცია მხოლოდ ლეგენდარულ მაიკლ ჯონსონს (19,32) და წლეულს ლოზანაში ნაყოჩაღებ, მერე კი სადღაც დაკარგულ ქსავიე კარტერს (19,63) დაუფარავთ.

„შესანიშნავი სეზონი მქონდა, სიზმარივითაა, არ მინდა, გამეღვიძოს“ — გაი საკუთარ ემოციებში დაცურავდა და 27 ათასმა შტუტგარტელმაც ტაში და მილოცვა არ დაიშურა მისთვის. სეზონი კი მართლაც გადასარევი გამოუვიდა ამერიკელს. ლოზანაში, სადაც მისმა თანამემამულე კარტერმა სამძლეოსნო სამყაროს ალმაფრთოვანებელი 19,63-წამიანი შედეგი აჩვენა, გაიმაც ყოჩაღად ირბინა, 200 მეტრს 19,70 წამი ამყოფინა. წლეულს მას სხვა კარგი შედეგებიც ჰქონდა, როგორც 200, ისე 100-მეტრიან დისტანციებზე.

სხვების ამბებიც ვთქვათ: ორმა ეთიოპიელმა სტაიერმა ქალმა — ტირუნეშ დიბაბამ და მესერეტ დეფარმა — მთელი სეზონის განმავლობაში სისხლი გაუშრო ერთმანეთს. ხან ერთი იგებდა 3 თუ 5-კილომეტრიან რბოლებს და ხან მეორე. შტუტგარტშიც მათ ყველა და ყველაფერი დაივიწყეს და ერთმანეთს აიძულეს ფეხის აჩქარება. 5 კილომეტრზე დიბაბამ იფეხმარდა და წამის მეასედებით მიასწრო დეფარს. მეორე დღეს 3 კილომეტრზე კი უკვე დეფარს დარჩა გამარჯვება — ამ მანძილს მან 8 წუთი და 34,22 წამი დაახარჯა, 0,52 წამით ნაკლები ვიდრე დიბაბამ.

„არ შეიძლებოდა, ეს რბოლაც წამეგო — ამბობდა დეფარი მოგვიანებით — კარგად დავიწყე და ვიცოდი, გამარჯვების კარგი შანსი რომ მექნებოდა. მეც ძალები დავზოგე და ბოლო წრეზე ბოლომდე დავიხარჯე.“

შტუტგარტში სპორტს გამოეთხოვა მძლეოსნობის დიდვარსკვლავი, 90-იანი წლების და იქნებ ყველა დროის უდიდესი შუბმტყორცნი იან ჟელეზნი და მაყურებელმა ის თბილადაც გააცილა. 4 ათეულ წელს აცილებულმა დიდმა ჩეხმა ეს ტურნირი ვერ მოიგო, რაც, რა თქმა უნდა, არავის დარჩენია გასაკვირად, მან ვერ გადააცილა ფინელი ტერო აიტკამაკის 88,89 და ნორვეგიელი ანდრეას ტორკალდსენის 89,50 მეტრს, მაგრამ იყო დრო, მისთვის 90 მეტრიც გასახურებელი ნიშნული იყო და 3 ოლიმპიადაც ისე მოიგო, პირველობაში არავინ დაუეჭვებია. ზემოხსენებული სკანდინაველი ბიჭები ალბათ ვერც კი მიუახლოვდებიან დიადი ჩეხის ზღაპარშედეგებს.

თავის საუკეთესო წლებთან შედარებით კარგად ვერც რუსი მეჭოკე ელენა ისინბაევა ხტის, თუმცა მის წასვლაზე საუბარი ჯერ ნამდვილად ნაადრევია. 5 მეტრის დამძლევ ერთადერთ ქალს ვერ გააკვირვებს საკუთარი 4,75 მეტრი, მაგრამ ის ჯერ მაინც სხვებზე ლამის ერთი ჭოკით მაღლა დგას.

შტუტგარტში რიგიანი შედეგები აჩვენეს ქალბატონმა სპრინტერებმა. იამაიკელმა 100-მეტროსანმა შერონ სიმპსონმა ფეხი აუწყო უსწრაფეს თანამემამულე ასაფა პაუელს და 100 მეტრის 10,88 წამში გარბენით მსოფლიოს კიდევ ერთხელ აუწყა, რომ მძლეოსნობის მეფეც და დედოფალიც კარიბეთის ერთი ღარიბი და მხიარული კუნძულის შვილები არიან.

ქალთა 400 მეტრის უპირველესმა ბანოვანმა, ოქროს ლიგის ექვსივე ეტაპის მომგებმა და ამით გვარიანი ფულის მომხვეჭმა სანია რიჩარდსმა სეზონის ბოლო დიდრონი ტურნირიც მოიგო, თან გადასარევი შედეგით — 400 მეტრი მან 49,25 წამში დაფარა, რაც მისი მრავალფეროვან კარიერაში მესამე საუკეთესო დროა. ნასირბილევს რიჩარდსი მაინც უკმაყოფილო ჩანდა — მინდოდა, 49 წამს ჩამოვცილებოდი, თორემ რომ მოვიგებდი, მაგას რა ლაპარაკი უნდოდაო. ეს ოცნება რომ აისრულოს, რიჩარდსმა მომავალ სეზონში ფეხს უნდა აუჩქაროს, თორემ ახლა ჩივის, მთელი სხეული დაჩეჩქვილი მაქვსო.

**კოტე ყორშია**



გიგი უგულავა, გოკა გაბაშვილი და ბესიკ ლიპარტელიანი

# უგულავამ ნაკრები შეაგულიანა

## ფინეთი სამიანებით გვემუქრება

*საკვალიფიკაციოში ჯერაც დაუმარცხებელ საქართველოს ნაკრებს მთავარი გამოცდის ჯერი დაუდგა. ხვალ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გორდონ ჰერბერტის გუნდი ამ ქვეყნის გვარიანად ნაწრთობ ნაკრებს ეთამაშება და ამ მატჩში გამოჩნდება ქართველების რეალური ძალა. იმარჯვებს საქართველო, ჯგუფიდან ცალი ფეხით გასულია, არადა, მომავალ წელს ფინელებთან ღირსეული რევანშის იმედზე უნდა იყოს.*

*ჩვენმა ნაკრებმა ფინეთისკენ გეზი გამთენიისას აიღო, გუშინ კი სპორტის სასახლეში გორდონ ჰერბერტის გუნდს მთავრობის წარმომადგენლები ეწვივნენ და პრინციპული მატჩის წინ მორალური და ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვეს.*

*ქალაქის მერი გიგი უგულავა, კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და კიდევ არაერთი ჩინოსანი საქართველოს ნაკრების ბოლო თბილისურ ვარჯიშზე მივიდა, რათა კალათბურთელებისთვის ეს ეთქვათ:*

— ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის ფინელებთან და თუ გავიმარჯვებთ, ჯგუფიდან გასვლას თითქმის გავინაღდებთ. ეს თქვენ უკეთ იცით და, დარწმუნებული ვარ, წარმატებისთვის არაფერს დაიშურებთ — მიმართა გორდონ ჰერბერტსა და მის სამწყსოს *გიგი უგულავამ* — მინდა, წარმატება გისურვოთ და წახალისების მიზნით მცირედი ფინანსური დახმარება აღგითქვათ. ფინეთში გამარჯვების შემთხვევაში გუნდი 40 ათას ლარს მიიღებს, რომლის განაწილებაც პრემიების სახით ნაკრების ხელმძღვანელობის მიერ მოხდება. ჯერ ადრეა, მაგრამ ბარემ აქვე გეტყვით, რომ მომავალ წელს განახლებულ სპორტის სასახლეში მივიღებთ ფინეთის ნაკრებს. მალე დაიწყება ამ სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია, რომელიც ყველა საერთაშორისო მოთხოვნას დააკმაყოფილებს. გეგმა უკვე შედგენილია, ხარჯთაღრიცხვაც დაანგარიშებული. სპორტის სასახლის რეკონსტრუქციისთვის დაახლოებით 5 მილიონ დოლარს გამოვყოფთ.

უგულავა გაბაშვილთან ერთად კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს, გორდონ ჰერბერტს და მოთამაშეებს გაესაუბრა, ფინეთიდან გამარჯვებით დაბრუნება უსურვა და სპორტის სასახლე დატოვა.

ნაკრებმა ვარჯიში დაამთავრა და გორდონ ჰერბერტიც ჟურნალისტებმა მოვიხელთეთ. თემა, რა თქმა უნდა, ფინეთთან ხვალინდელი ჯახი იყო.

— რას უჩივით ყველაზე მეტად ფინეთთან მატჩის წინ?

— იდეალური ვითარება არასდროს იქნება. პატარ-პატარა პრობლემები ნებისმიერ გუნდს ექმნება. ასევე ჩვენც. გამოსასწორებელი გვაქვს როგორც თავდასხმა, ასევე დაცვა, რასაც, იმედია, დარჩენილ ვარჯიშებში მოვახერხებთ.

— ფინეთში თამაშის გამოცდილება უკვე გაქვთ, შარშან დავმარცხდით და ახლა რაზე გაამახვილებთ ყურადღებას, იგივე რომ არ განმეორდეს?

— ფინელთა მთავარი კოზირი შორი სროლებია, თუმც არც ფარქვეშ არიან სუსტები. მეტოქეს პერიმეტრზე სივრცე უნდა შევუზღუდოთ და ვეცადოთ, ბლოკიდან დროულად ავიწიოთ და სროლის საშუალება არ მივცეთ. ამაში დაგვეხმარება ერთი ერთზე თამაში. ზონას თუ დავაყენეთ, ალბათ, აქედან ნაკლებ სარგებელს მივიღებთ.

— ჩვენი გუნდის კოზირი არაა შორი სროლები?

— თუ ისლანდიასთან მატჩით ვიმსჯელებთ, მართლაც ასეა, მაგრამ იმ დღეს სროლები არ წაგვივიდა, იღბალმა ზურგი გვაქცია, ისე კი სასროლად კარგ პოზიციებზე იოლად გავდიოდით. ფინეთშიც იგივეს შევეცდებით, მთავარია, მიზანი არ გაგვიმრუდდეს.

*ზაზა ფაჩულია:*

— ფინეთის ნაკრებს კარგად ვიცნობთ, ჩვენზე ძლიერები არაფრით არ არიან, უბრალოდ, სახლში თამაშობენ და ეს უპირატესობა აქვთ. ჩვენი მთავარი საზრუნავი იქნება, რომ ნაკლები შეცდომა დავუშვათ და თუ ეს მოვახერხეთ, გავიმარჯვებთ კიდეც.

*ვახტანგ ნაცვლიშვილი:*

— წინასწარ ვიცოდით, რომ ჩვენი მთავარი მეტოქე ჯგუფში ფინეთი იქნებოდა და ამ მატჩისთვის ფსიქოლოგიურად მართ ვართ. ავსტრიასთან კარგი გაკვეთილი მივიღეთ და ვეცდებით, მეტოქეს თავიდანვე წინ გასვლის საშუალება არ მივცეთ.

**ირაკლი პერტაია**



## ბორჯომის თასი. ჰარდი. საპრიზო 10 000 $

# პირველი ჰომერული

## დიღომში ბორჯომის კვირეული იწყება

**დიღმის** იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში პირველი საერთაშორისო ტურნირი იწყება. დღეიდან კვირის ბოლომდე 10 ათასი დოლარის საპრიზო ფონდიანი „ბორჯომის თასი" გათამაშდება. შემდეგი კვირა კი კიდევ ერთ 10-ათასიან „იან ჰომერის თასს" დაეთმობა. პირველი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშები შაბათ-კვირას ჩატარდა და ძირითად ბადეში გამსვლელი რვა საგზურიც განაწილდა.

შესარჩევი ეტაპის ოცდათორმეტ მონაწილეს შორის თექვსმეტი ქართველი იყო. მიზანს ხუთმა მიაღწია. წარმატებული ხუთეული ძირითად ბადეში პირდაპირ მოხვედრილ შვიდ ქართველს შეემატა, რითაც მასპინძელთა რაოდენობრივი უპირატესობა აშკარა გახდა. მეორე ადგილზე ტრადიციულად რუსები არიან ცხრა ჩოგბურთელით. დანარჩენი თერთმეტი ადგილი კი ოთხმა უკრაინელმა, სამმა სომეხმა და თითო ბელარუსმა, აზერბაიჯანელმა, ყაზახმა და ინდოელმა გაინაწილეს.



მანანა შაფაქიძე შარშანდელი ტურნირის ფინალისტია

ტურნირზე პირველ ნომრად შარშანდელი ფინალისტი მანანა შაფაქიძეა განთესილი. იგი მსოფლიოს რეიტინგსიაში 692-ე საფეხურზე იყო და მეორე ნომერ რუსს ვარვარა გალანინას ოთხი ადგილით უსწრებდა. სხვა ქართველები განთესილთა შორის ვერ მოხვდნენ.

შარშანდელი „ბორჯომის თასის" მომგებმა მაკა ჩახნაშვილმა კი ბოლო ერთ წელიწადში ისეთი პროგრესი აჩვენა, ამ დონის ტურნირზე თამაში ბევრს აღარას არგებს. შესაბამისად, მისი იტალიიდან თბილისში ჩამოსვლა დღის წესრიგში არც დამდგარა.

გუშინ დილით კენჭისყრის შედეგები გახდა ცნობილი, ძირითადი თამაშები კი დღეს დილით იწყება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- მანანა შაფაქიძე (1, საქართველო)
- დიანა დავითაია (კვ. საქართველო)
- სოფიკო შარანგია (საქართველო)
- ლიუდმილა ნიქოიანი (კვ. სომხეთი)
- ლუსინ დავთიანი (კვ. სომხეთი)
- მირიამ ქურდაძე (კვ. საქართველო)
- ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (რუსეთი)
- ვოლჰა დუკო (5, ბელარუსი)
- კრისტინა გრიგორიანი (3, რუსეთი)
- ირინა მალაშოკი (უკრაინა)
- სოფიო შაფათავა (საქართველო)
- ფარიდა კარაევა (უკრაინა)
- ეკატერინე გორგოძე (საქართველო)
- გვანცა რობაქიძე (კვ. საქართველო)
- სოფიო ქვაცაბაია (საქართველო)
- ჟულია კალაბინა (6, რუსეთი)
- ამინა რახიმი (8, ყაზახეთი)
- ავგუსტა ციბიჩევა (რუსეთი)
- პრერანა-მითრი აპინენი (ინდოეთი)
- ანა მოვსისიანი (სომხეთი)
- ნადეჟდა სამოილო (რუსეთი)
- თეონა ცერცვაძე (საქართველო)
- ალისა ბუსლაევა (კვ. უკრაინა)
- იულია სოლონიცკაია (4, რუსეთი)
- ელინა ჰასანოვა (7, აზერბაიჯანი)
- ევგენია პაშკოვა (რუსეთი)
- მარიამ სამქანაშვილი (საქართველო)
- სალომე ჩაჩხუნაშვილი (კვ. საქართველო)
- მაგდა ოქრუაშვილი (კვ. საქართველო)
- ვიქტორია სემიროდენკო (უკრაინა)
- ტატიანა კოტელნიკოვა (რუსეთი)
- ვარვარა გალანინა (2, რუსეთი)

**ამერიკის ღია ჩემპიონატი 2006. ჰარდი. საპრიზო 14 769 000 $**

US OPEN 2006



AFP ნიუ იორკიდან

# მჯობნის მჯობნზე მაღლა მდგომი

## ფედერ-ერა გრძელდება

**ნათქვამია,** მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, მაგრამ ამ ხალხურ სიბრძნეს გაგრძელება არ მოსდევს და თუ შეიძლება, მჯობნის მჯობნზე უკეთესი მოიძებნოს, ჯერ არაფერი თქმულა. ესე იგი, ასეთი არ უნდა არსებობდეს.

ჩოგბურთში დღესდღეობით ზუსტად ეს მდგომარეობაა — მჯობნის მჯობნი აქ როჯერ ფედერერია და ამ დიადი შვეიცარიელის არათუ მჯობნი, არამედ უბრალოდ, ერთხელ დამმარცხებელიც კი სანატრელი გამხდარა.

“მხიარულმა როჯერმა“ თავისი გენიალობა გუშინ გამთენიისას კიდევ ერთხელ დაამტკიცა და ენდი როდიკი უმაღლესი დონისა და ულამაზესი თამაშით დასცა. გასაოცარია და ნაწილობრივ ძნელიც ამ დიდი ადამიანის ცქერა — გასაოცარი იმიტომ, რომ ლამის იდეალური თამაშის მიუხედავად, რომელზე სწორებასაც დანარჩენი საჩოგბურთო სამყარო ცდილობს, ყოველ ახალ შეხვედრასთან ერთად ფედერერიც უმატებს. ძნელი კი იმიტომ, რომ თავისი არამიწიერი ჩოგბურთით შვეიცარიელი ხალისს აკლებს სპორტის ამ სახეობას, რადგანაც გამუდმებით ერთი კაცის ტრიუმფის ყურება მაყურებლის ინტერესს კლავს.

გუშინაც, სწორედ ამიტომ, უმეტესობა როდიკს გულშემატკივრობდა, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა, რადგანაც დღევანდელ ჩოგბურთში ორადორს თუ შეუძლია ამ კაცის დაცემა — რაფაელ ნადალს, რადგან მას „უბრალოდ“ არ ეშინია ფედერერის და მარატ საფინს, რადგან შვეიცარიელის გასამკლავებლად მხოლოდ მას აქვს საკმარისი ტექნიკური არსენალი. თუმც გუშინ კორტზე „მხიარული როჯერის“ წინ არც ერთი იდგა და არც მეორე.

ისე არ გვსურს გამოვიდეს, რომ თითქოს ენდი-ბოიმ საერთოდ ვერ ითამაშა. როდიკმა უძლიერესად იჩოგნავა. იანკთა იმედს ასე მძლავრად სამიოდე წელი იქნება, ჩოგანი არ უქნევია. მეტიც, გუშინდელი, განსაკუთრებით მეორე და მესამე სეტში ნაჩვენები თამაშით, როდიკი აბსოლუტურად ყველას მოუგებდა.

მაგრამ არა ფედერერს. რატომ? იმიტომ, რომ ენდი-ბოი მაინც ქვემოდან შესცქეროდა დიად შვეიცარიელს და დიდადაც უფრთხოდა. ეს კარგად გამოჩნდა პირველ სეტში, როცა ამერიკელი ძალიან ნერვიულობდა. სწორედ ამით განსხვავდება ის ნადალისგან — ესპანელი თავიდანვე ტოლ-სწორად ერკინება ხოლმე ალპელს და ფსიქოლოგიურ უპირატესობას არ აძლევს.

მეორე და მესამე სეტში როდიკის მიერ ნაჩვენები თამაში ემოცია უფრო იყო, 23 000 გახელებლი ამერიკელი ფანის გამაყრუებელი ღრიანცელით გამოღვიძებული ემოცია, რამაც ორი სეტი ტოლ-სწორად აჭიდავა როდიკი თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცთან. ფედერერს კი ის ყველაფერი, რასაც როდიკი ამ დიდ ემოციურ მუხტზე აკეთებდა, ავტომატიზმამდე აქვს დაყვანილი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ როდიკმა ამდენად მაღალ დონეზე მთელი შეხვედრა ვერ ჩაატარა. მეოთხე სეტში ამერიკელი უბრალოდ, დაღლილი იყო თავისივე ემოციებისგან და ამიტომ წესიერად ხელიც ვეღარ გაანძრია.

ფედერერმა კი კვლავ ტრადიციულად ემოციურად აღნიშნა თავისი მორიგი ტრიუმფი. ნამატჩევს შვეიცარიელმა განსაკუთრებული მადლობა სპეციალურად მის საგულშემატკივროდ მისულ მისნაირივე „უცხოპლანეტელს“, გოლფის მეფე ტაიგერ ვუდსს მოუხადა:

„ეს კიდევ ერთი დიდი მიღწევაა ჩემს კარიერაში. ამის მიღწევა ძნელი იყო, მაგრამ მაინც მოვახერხე. განსაკუთრებული მადლობა კი ტაიგერს მინდა მოვუხადო — შემპირდა, მოვალო და მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელის წინააღმდეგ ვთამაშობდი, მაინც მე მიჭერდა მხარს“

ფედერერმა ზედიზედ მესამედ იმარჯვა აშშ-ს ღია პირველობაზე. ამასთანავე, ის პირველი ჩოგბურთელია, რომელმაც ზედიზედ მესამედ შეძლო მიჯრით უიმბლდონის და აშშ-ს ღია პირველობის მოგება. შვეიცარიელი აგერ უკვე 137-ე კვირაა, რაც რეიტინგის სათავეში იმყოფება და, ცხადია, რომ ამ წელსაც პირველ ნომრად ჩაამთავრებს.

**ბახა ლომაშვილი**

## როჯერ ფედერერი

დაიბადა 1981 წლის 8 აგვისტოს ბაზელში (შვეიცარია). შვეიცარიის მოქალაქე. ცხოვრობს ბოტმინგენში (შვეიცარია). სიმაღლე 185 სმ. წონა 80,5 კგ. პროფესიონალია 1998 წლიდან. 2004 წლის 2 თებერვლიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანია. მოპოვებული აქვს ერთეულთა 41 (მათ შორის, 9 დიდი სლემის: უიმბლდონი — 2003-06, ავსტრალიის ღია პირველობა — 2004, 2006 და ამერიკის ღია პირველობა — 2004-06) და წყვილთა 7 ტიტული. კარიერაში ჩატარებული 586 მატჩიდან მოიგო 461 და წააგო 125. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 26 მილიონ დოლარზე მეტი.

## ფედერერი US open-2006-ზე

| | | |
|---|---|---|
| **პირველი წრე** | ფედერერი — იუ ცუ ვანგი (ტაივანი) | 6:4 6:1 6:0 |
| **მეორე წრე** | ფედერერი — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 6:3 6:4 7:5 |
| **მესამე წრე** | ფედერერი — ვინსენ სპადეა (აშშ) | 6:3 6:3 6:0 |
| **მეოთხე წრე** | ფედერერი — მარკ გიკუელი (საფრანგეთი) | 6:3 7:6 6:3 |
| **მეოთხედფინალი** | ფედერერი — ჯეიმს ბლეიკი (5, აშშ) | 7:6 6:0 6:7 6:4 |
| **ნახევარფინალი** | ფედერერი — ნიკოლაი დავიდენკო (7, რუსეთი) | 6:1 7:5 6:4 |
| **ფინალი** | ფედერერი — ენდი როდიკი (9, აშშ) | 6:2 4:6 7:5 6:1 |

წლევანდელი US open როჯერ ფედერერისთვის 30-ე სლემტურნირი იყო და „მხიარულმა როჯერმა“ მე-9 ტიტული მოიპოვა. სლემტურნირებზე ფედერერი 1999 წელს გამოჩნდა და იმ სეზონში „როლან გაროსზეც“ და უიბლდონზეც პირველივე წრეში დამარცხდა. პირველი სასლემო მატჩი როჯერმა მომდევნო, 2000 წლის ავსტრალიის პირველობაზე მოიგო, პირველი ტიტული კი 2003 წლის უიმბლდონზე მოიპოვა და მას შემდეგ მიჰყვა და მიჰყვა — ბოლო 14 სლემტურნირიდან 9 ფედერერის გამარჯვებით დასრულდა. დიადი ალპელი ბოლო 10 სლემტურნირის უცვლელი ნახევარფინალისტია, ამ ათიდან რვაჯერ ფინალში გავიდა და შვიდი მოიგო.

სულ, 30 სლემტურნირზე ფედერერს 134 მატჩი აქვს ჩატარებული, რომელთაგან 113 მოიგო და 21 წააგო. მოგება-წაგებათა პროცენტული მაჩვენებლით როჯერმა უკვე გადაასწრო წარსულის დიადებს. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ იმ ჩოგბურთელთა სიას, რომლებმაც ღია ერაში, ანუ 1968 წლიდან ყველაზე მეტი მატჩი მოიგეს სლემტურნირებზე.

| | ტურნირი | მატჩი | მოგება | წაგება | ტიტული |
|---|---|---|---|---|---|
| ჯიმი კონორსი | 57 | 282 | 233 | 49 | 8 |
| ანდრე აგასი | 60 | 276 | 224 | 52 | 8 |
| ივან ლენდლი | 57 | 271 | 222 | 49 | 8 |
| პიტ სამპრასი | 52 | 241 | 203 | 38 | 14 |
| სტეფან ედბერგი | 53 | 225 | 178 | 47 | 6 |
| როჯერ ფედერერი | 30 | 134 | 113 | 21 | 9 |

## US open-2006-ის ყველა ფინალი

**კაცები**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ენდი როდიკი (9, აშშ) 6:2 4:6 7:5 6:1

**ქალები**

მარია შარაპოვა (3, რუსეთი ) — ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) 6:4 6:4

**კაცთა წყვილები**

მარტინ დამი, ლეანდერ პაესი (6, ჩეხეთი, ინდოეთი) — იონას ბიორკმანი, მაქსიმ მირნი (2, შვედეთი, ბელარუსი) 6:7 6:4 6:3

**ქალთა წყვილები**

ნატალი დეში, ვერა ზვონარევა (საფრანგეთი, რუსეთი) — დინარა საფინა, კატარინა სრებოტნიკი (8, რუსეთი, სლოვენია) 7:6 7:5

**შერეული წყვილები**

მარტინა ნავრატილოვა, ბობ ბრიანი (5, ორივე — აშშ) — კვეტა პეშკე, მარტინ დამი (ორივე ჩეხეთი) 6:2 6:3

**ჭაბუკები**

დუშან ლოჟდა (10, ჩეხეთი) — პეტერ პოლანსკი (კანადა) 7:6 6:3

**გოგონები**

ანასტასია პავლიუჩენკოვა (1, რუსეთი) — ტამირა პაზეკი (11, ავსტრალია) 3:6 6:4 7:5

**ჭაბუკთა წყვილები**

ჯიმი ჰანტი, ნათანაილ შნექი (ორივე — აშშ) — ჯარმერ ჯენკინსი, ოსტინ კრაიჩეკი (ორივე — აშშ) 6:3 6:3

**გოგონათა წყვილები**

მიხაელა ბუზარნესკუ, რალუკა ოლარუ (2, ორივე — რუმინეთი) — შერონ ფიხმანი, ანასტასია პავლიუჩენკოვა (1, კანადა, რუსეთი) 7:5 6:2

# კაცები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7295 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4800 |
| 3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 3245 |
| 4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2940 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2590 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2585 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2190 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2085 |
| 9. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1952 |
| 10. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 1880 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1850 |
| 12. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1800 |
| 13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1735 |
| 14. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1700 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1675 |
| 16. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1400 |
| 17. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1365 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1360 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1315 |
| 20. გასტონ გაუდო (არგენტინა) | 1245 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1324 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 825 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 434 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 418 |
| 5. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 416 |
| 6. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 374 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 370 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 365 |
| 9. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 335 |
| 10-11. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 318 |
| 10-11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 318 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 285 |
| 13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 280 |
| 14. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 268 |
| 15. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 263 |
| 16. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 250 |
| 17-18. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 244 |
| 17-18. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 244 |
| 19. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 215 |
| 20. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 214 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6 113 885 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 3 344 510 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 1 940 960 |
| 4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1 298 610 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 1 178 745 |
| 6. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1 055 370 |
| 7. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1 053 545 |
| 8. იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 1 045 450 |
| 9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1 039 840 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 958 615 |
| 11. მაქსიმ მირნი (ბელარუსი) | 936 065 |
| 12. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 918 680 |
| 13. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 820 460 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 800 710 |
| 15. ტომი ჰაასი (გერმანია) | 779 305 |
| 16. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 746 935 |
| 17. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 729 030 |
| 18. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 704 390 |
| 19-20. ბობ ბრიანი (აშშ) | 697 330 |
| 19-20. მაიკ ბრიანი (აშშ) | 697 330 |

# ქალები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3610 |
| 2. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 3474 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3125 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2360 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2168 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2027 |
| 7. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 1996 |
| 8. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1793 |
| 9. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1719 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1589 |
| 11. დინარა საფინა (რუსეთი) | 1541 |
| 12. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 1530 |
| 13. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1381 |
| 14. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 1278 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1197 |
| 16. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 1168 |
| 17. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1101 |
| 18. მარი პირსი (საფრანგეთი) | 981 |
| 19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 910 |
| 20. ფლავია პენეტა (იტალია) | 897 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 3473 |
| 2. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2735 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2727 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2093 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1860 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1719 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1704 |
| 8. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 1549 |
| 9. დინარა საფინა (რუსეთი) | 1363 |
| 10. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1326 |
| 11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1168 |
| 12. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1000 |
| 13. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 974 |
| 14. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 971 |
| 15. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 898 |
| 16. ნა ლი (ჩინეთი) | 801 |
| 17. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 800 |
| 18. შაჰარ პირი (ისრაელი) | 774 |
| 19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 774 |
| 20. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 703 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 3 204 810 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3 101 616 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2 724 202 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1 608 859 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1 122 992 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1 011 030 |
| 7. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 995 719 |
| 8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 969 127 |
| 9. დინარა საფინა (რუსეთი) | 805 701 |
| 10. სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 748 489 |
| 11. ჟი ჟენგი (ჩინეთი) | 742 608 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 632 210 |
| 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 617 253 |
| 14. ლიზა რაიმონდი (აშშ) | 615 142 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 612 126 |
| 16. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 605 371 |
| 17. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 593 351 |
| 18. ვერა ზვონარევა (რუსეთი) | 590 665 |
| 19. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 587005 |
| 20 ჟი იანი (ჩინეთი) | 560 669 |

# სოფო შაფათავას +212



AFP ნიუ იორკიდან

ფინალში მარცხის მიუხედავად ენდი როდიკმა კლასიფიკაციაში გვარიანად წინ წაიწია

**სეზონის** ბოლო სლემტურნირის დასრულებისთანავე პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და კლასიფიკაციებში მოხსენებული ერთი დუჟინი ქართველიდან პროგრესი მხოლოდ ორმა განიცადა — სოფო მელიქიშვილმა, რომელმაც თავისი 77,5 ქულით ოთხი ადგილით მაღლა, 293-ე პოზიციაზე აინაცვლა და სოფო შაფათავამ, ვისაც ამ ცოტა ხნის წინათ ბაქოს ტურნირის ფინალში გასვლამ, ერთბაშად 212 საფეხურთი წინ წასვლის საშუალება მისცა და ახლა ქართველი ჩოგბურთელი 9,25 სარეიტინგო ქულით 848-ე ადგილზეა.

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი 15 პოზიციით დაქვეითდა და 198,5 ქულით 190-ე ადგილზეა. სამი საფეხური დათმო და 71,5 ქულით 311-ეა ანა ტატიშვილი. 20,25 ქულით 605-ე ადგილზე დარჩა სალომე დევიძე. მანანა შაფაქიძემ 8 პოზიცია დაკარგა და 15,5 ქულით მე-700 ადგილზე დაიხია. ექვსი საფეხურით უკან, 878-ე ადგილზეა ია ჯიქია, ვისაც 8,5 ქულა აქვს.

ქალთა რეიტინგის ათასეულს მიღმა კიდევ სამი ჩვენებურია: თეონა ცერცვაძე 4,5 ქულით 1135-ე (-3) ადგილზეა. სოფო ქვაცაბაია 3,0 ქულით 1298-ეა (-11), ხოლო ნანა უროტაძე 2,25 ქულით 1379-ე (-1) საფეხურზე იმყოფება.

რაც შეეხება ჩვენი კაცთა ჩოგბურთის ლიდერებს, ირაკლი ლაბაძემ ორი ადგილით უკან დაიხია და ახლა 253 ქულით 164-ეა, ხოლო ლადო ჩიხლაძემ სამი პოზიცია დათმო და 59 ქულით 466 ადგილზე მოიკალათა.



სოფო შაფათავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მონცამდე მოცდა სჯობდა

## სათქმელი აქ უნდა თქმულიყო



**გუშინწინ** „მონცაზე" იტალიური საპირველფორმულო ეტაპის შემდეგ გაცხადდა „სამეფო რბოლების" 57-წლიან ისტორიაში ყველაზე ფანტასტიკური კარიერის დასრულებაზე.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი მიმდინარე სეზონის ბოლოს, ერთ თვეში სარბიელს დატოვებს.

ისე, 37 წელი მეფორმულისთვის სულაც არ არის კრიტიკულ-კრიზისული ასაკი. შუმიც სულ ცოტა, 40 წლამდე წარმატებით იჯირითებდა და იქნებ, მეათე გვირგვინიც დაედგა, ასი დიდი პრიზის მოგება ეზეიმა და 1500 საკარიერო ქულაც დაეგროვებინა, მაგრამ 16 სეზონის შემდეგ „ფერარის" პრემიერმა პენსიაზე გასვლა ინება.

ერთიცაა, დიად გერმანელს როდესმე ხომ უნდა დაესრულებინა საქმიანობა, „სკუდერია-ფერარის" მშობლიურ ტერიტორიაზე უკეთესი ვარიანტი კი ძნელი წარმოსადგენია. შუმიმ წასვლაზე სწორედ ლეგენდარულ „მონცაზე" განაცხადა, სადაც 1991 წლის 8 სექტემბერს „ბენეტონის" ბოლიდით დაიწყო მისი ზღაპრული აღმასვლა, გასულ კვირას კი, სარეკორდო, მეხუთე იტალიური გამარჯვება მოიპოვა და თანაც განიმტკიცა საჩემპიონო შანსი ესპანელ ფერნანდო ალონსოსთან „ომში".

მიხაელს გადადგომის გადაწყვეტილება ორი თვის წინ ინდიანაპოლისში (აშშ) რბოლის შემდეგ მიუღია, ისიც კარგა ხნით ადრე სცოდნია, რომ „ფერარიში" მის ადგილს ფინელი კიმი რაიკონენი დაიკავებდა, თუმც „ტაქტიკური" პილოტ-გუნდური მოსაზრებით, მონცამდე მოცდა ამჯობინა. „წითელი ბარონის" მილიონობით ფანებს მაინც არ სჯეროდათ თავიანთი კერპის დაკარგვისა, „მონცაზე" გამოფენილ უამრავ ტრანსპარანტს შორის ერთი ასეთიც იყო: „ფორმულა უშუმახეროდ იგივეა, რაც ნეაპოლი პიცის, ვეზუვისა და ზღვის გარეშე".

ბუნებრივია, გულნატკენი ჩანდა ფერარელთა პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო: „ძალიან მწყინს, რომ მიხაელმა წასვლა გადაწყვიტა, დღევანდელმა რბოლამ დაგვანახვა, რომ იგი უწინდელივით კონკურენტუნარიანია, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთ გადაწყვეტილებას ხომ ერთხელ ყოველი პილოტი იღებს. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მას „ფერარისთან" თერთმეტწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. მიხაელი გამარჯვებული მიდის და დარწმუნებული ვარ, მისი ურთიერთობა მარანელოსთან გაგრძელდება, თუმც სხვა ფორმით."

რა თქმა უნდა, თავად შუმახერიც ემოციური ჩანდა რბოლისშემდგომ პრესკონფერენციაზე:

„ეს განსაკუთრებული დღეა და სასიამოვნოა მისი ასეთი ლამაზი მოგებით აღნიშვნა. ჩემს მომავალს აქტიურად განიხილავდნენ გულშემატკივრები და საერთოდ ავტოსპორტის მოყვარულები. ვწუხვარ, თუკი რომელიმე თქვენგანმა მოლოდინი ძალიან ხანგრძლივად ჩათვალა, მაგრამ განცხადება ოპტიმალურ მომენტში უნდა გამეკეთებინა და ვთვლი, რომ ის სწორედ მონცაში დადგა. გუნდთან შეთანხმებით ამ სეზონის ბოლოს რბოლებიდან წავალ. ეს განსაკუთრებული, მართლაც განსაკუთრებული პერიოდი იყო — რბოლებში ოცდაათი წელი გავატარე და ტრასაზე ყოველი წამისგან სიამოვნებას ვიღებდი, რამაც ჩემი ცხოვრება საინტერესო გახადა. მადლობელი ვარ ჩემი ოჯახის — მამის, გარდაცვლილი დედის, მეუღლისა და შვილების, მათი მხარდაჭერის გარეშე ამ ბიზნესში თავს ვერ გავიტანდი და ასეთ წარმატებას ვერ მოვიპოვებდი. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ადრე „ბენეტონში" გამოსვლისას მეხმარებოდა, მადლობა „ფერარის" — ამ გუნდში მართლაც ბევრი ნამდვილი მეგობარი მყავს.

— დარჩენილ სამ ეტაპზე რას ფიქრობთ, თქვენ ხომ ალონსოს მხოლოდ ორი ქულითღა ჩამორჩებით?

— ჩემს სატიტულო მიზანზე ახლა უფრო შემართული ვარ, ვიდრე ოდესმე. კანადურ ეტაპს რომ დავუბრუნდეთ, როცა ალონსოსთან 25 ქულას ვაგებდი, ვერავინ იფიქრებდა, თუ დაწევას შევძლებდით, სადღეისოდ კი სხვაობა სულ ორი ქულაა.

— რაც წასვლაზე გადაწყვეტილება მიიღეთ, მოტივაცია არ მოგაკლდათ?

— მეგონა, გამიძნელდებოდა, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა. მე პიკზე მივდივარ, ასე რომ, სეზონის ბოლომდე პრობლემები არ უნდა იყოს. საერთოდ, კონკურენტუნარიანი რომ დარჩე, აუცილებელია, მთელი შენი ენერგია და ძალები ბრძოლას შეალიო, რასაც ფაქტია, შემდგომში ველარ შევძლებდი.

— რაშია პრობლემა?

— არ ვიცი, ახლა ამის განხილვისთვის მზად არ ვარ. მაპატიეთ, მაგრამ ახლა ჩემი გადაწყვეტილების მიზეზთა ანალიზის მომენტი არ არის. სათქმელი ვთქვი, უფრო ღრმად ჩაძიება საჭირო არაა.

— უკვე გადაწყვიტეთ, მომავალში რას გააკეთებთ?

— „ფერარისთან" ურთიერთობას შევინარჩუნებ. წლის ბოლოს გავარკვევთ, თუ რა ფორმით. ამჟამად უმთავრესია, დარჩენილ სამ რბოლაში წარმატებით გამოვიდე.

— თქვენს გარეშე „ფერარი" ისევ ძლიერი იქნება?

— „ფერარი" იყო ჩემამდე და შემდეგაც იქნება. გუნდმა კონტრაქტები გააფორმა ძლიერ მრბოლებთან, ასე რომ, კონკურენტუნარიანობა გარანტირებულია.

— შეგიძლიათ, თქვენი ცხოვრება ფორმულა 1-ის გარეშე წარმოიდგინოთ?

— სადღეისოდ ასეთი ამოცანა არ მაქვს, ვნახოთ.

— ვინ იყო თქვენი ყველაზე სერიოზული მეტოქე ბოლო 15 წლიწადში?

— ყველაზე საინტერესო მიკა ჰაკინენთან დუელი იყო — სუფთა ბრძოლა, ყოველგვარი მტრობის გარეშე.

— წასვლის შემდეგ ყველაზე მეტად რა დაგაკლდებათ?

— მაპატიეთ (ამოიოხრა)...





# დღეს დიდი ღელვაა

## შავი ზღვა ოკეანეს მიადგა

**კოკუგიკანურ** არენაზე სექტემბრის ბაშოს მეორე ტური ჩაჭიდავდა. პირველ მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ ლევან ცაგურიას რთული კალენდარი ერგო. კომუსუბის რანგში დებიუტი იოკოძუნა ასასიორიუსთან ჰქონდა და დამარცხდა. გუშინ კოკაი კიდევ ერთ თავისზე მაღალწოდებიან მეტოქეს დაეჭიდა და წააქცია კიდეც. 180-კილოგრამიან ოძეკი კაიოს „შავ ზღვასთან" ბრძოლა ტრადიციულად უჭირს და ახლა ორქულიანი უარყოფითი ბალანსი სამამდე გაეზარდა.

ბაშოს მიმომხილველი ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით შეხვედრის ბედი ქართველის უძლიერესმა სასტარტო შეტევამ გადაწყვიტა. ამრიგად კოკაიმ უარყოფითი ბალანსი გააბათილა და დარჩენილ ცამეტ ტურში შვიდი მოგება დასჭირდება, კომუსუბის წოდება რომ შეინარჩუნოს. დღეს ჩვენებური კიდევ ერთ ოძეკის ტიოტაიკაის ხვდება. ამ უკანასკნელს მიმდინარე ბაშოზე ჯერ ფეხი არ დასცდენია და ცაგურიასთან პირად შეხვედრებშიც საგრძნობი უპირატესობა მოეპოვება — 8 შემთხვევაში 6-ჯერ იმარჯვა.

გუშინ მარადიულობის ოკეანედ მონათლულმა ტიოტაიკაიმ დასავლეთის მეორე მაეგაშირას ტოკიტენკუს გადაუარა. მძლავრი შეტევით ჯერ იყო და ნოკდაუნში ჩააგდო, მერე კი მაყურებლებში გადაუძახა.

მეორე ქულა მიითვალა ასასიორიუმაც. დიდი მონღოლის რისხვა ექსსეკივაკე ტამანოსიმას დაატყდა. იოკოძუნობისთვის მებრძოლმა ოძეკი ხაკუხომ კი ხასიათი ოდნავ გამოიკეთა — კისენოსატოს ჯავრი ექსოძეკი დეძიმაზე იყარა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## მსოფლიოს ჩემპიონატი. XIII ეტაპი

### მალაიზიის დიდი პრიზი. *სეპანგი — 5,548 კმ*

#### მოტო გრან პრი — 116,5 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) | 43 წთ; 07,8 |
| 2 | ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) | ჩამორჩა 0,8 |
| 3 | დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) | 3,9 |

#### საერთო ჩათვლა

1 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) 214 ქულა; 2 პედროსა 192; 3 როსი 188; 4 კაპიროსი 171 5 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა) 168

#### 250 სმ³ — 111,0 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) | 43 წთ; 15,5 |
| 2 | ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰუმანჯესტ ჰონდა) | ჩამორჩა 5,4 |
| 3 | ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) | 10,2 |

#### საერთო ჩათვლა

1 ლორენცო 224 ქულა; 2 დოვიზიოსო 212; 3 დე ანჯელისი 147; 4 იუკი ტაკაჰასი (იაპონია, ჰუმანჯესტ ჰონდა) 146; 5 რობერტო ლოკატელი (იტალია, ტოტი აპრილია) 138

#### 125 სმ³ — 66,6 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) | 26 წთ; 52,2 |
| 2 | მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) | ჩამორჩა 3,6 |
| 3 | ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) | 9,9 |

#### საერთო ჩათვლა

1 ბატისტა 255 ქულა; 2 კალიო 181; 3 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) 156; 4 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 143; 5 ფაუბელი 139

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიკაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge